

თვალსაზრისით ამბავი არ მომხდარა უკანასკნელ დღე და ღამის განმავლობაში. სხვა და სხვა ადგილას სამხედრო ოპერაციები ნორმალურად ვითარდებოდა.

ჩიკაგო, 25 ივ. ქარიშხალმა და ქუჩა-ქუჩილმა დიდი ნიაღვრის გამოიწვია მისი სურსის, ილინიის, ინდიანის და ოკლაჰომის ოლქებში; იმსხვერპლა მრავალი ადამიანი. ერთს ადგილას ქარმა გზიდან გადაიხროლა სამგზავრო მატარებელი; დაშავდა რამდენიმე კაცი. ქარს მინდვრებიდან აუარებელი ხორბალი მოაქვს და ქალაქების ქუჩებსა და მოედნებს ავსებს. ცინცინატიში მებმა 20 კაციზე მეტი იმსხვერპლა. ბევრს დაიღუპნენ ოკლაჰოში, სადაც ორი ნავი გადაბრუნდა. განადგურდა 25 სახლი.

ნიუ-იორკი, 25 ივნისი. „ასოსიციდენტ-პრესის“ იუწყება, რომ პრეზიდენტ ვილსონს სამინისტროს ზოგიერთმა წევრმა გერმანიის საპასუხო ნოტის შესახებ თავიანთი აზრი წარუდგინეს. ესენი საქიროდ სთვლიან ამერიკის ბერლინელმა დესპანმა აუხსნას გერმანიის მთავრობას, რომ შეერთებული შტატების მთავრობას არ შეუძლიან შეიწყნაროს ისეთი დათმობა, რომელიც შემოტანის უფლების შესახებ საერთაშორისო დიდგინობათა საზღვრებს გასცილდება. ცეცხლი გაჩნდა ხომალდს „მინეგალაზე“, რომელიც ნიუ-იორკიდან 21 ივნისს ლონდონისკენ გაემგზავრა. ხომალდის მოსამსახურენი ცეცხლს აქრობენ.

სტოკჰოლმი, 26 ივნისი. ბაზელის გაზეთები იტყობინებენ რომ ბერლინიდან, მიუნხენიდან და კოლნიდან მოსული ცნობებით გერმანიის აზრად ჰქონია სკანდინავიის ინგლისის ჯარის პირის გარდევნა და პარიზისკენ გალაშქრება.

პარიზი, 25 ივნ. დილის ოფიციალური ცნობა. არასის რაიონში, ანგრსა და სუშეს შუა საღამოთი ქვეთა ჯარები რამდენიმე შეტაკება მოუხდა; სუშეს ჩრდილოეთით მტერს შეუტრთო მტერს და ხელით სასროლ და ამაფეთქებელ ყუმბარების საშვალებით წინ წავიწვიო და დავიჭიოთ გერმანელთა თხრილების ხაზი. მტერმა სუსსონს ზარბაზნები დაუშინა. მარი-ტერენსის რაიონში გერმანელები შეეცადნენ თხრილებიდან ამოსვლას, მაგრამ შეჩერებულ იქნენ. ჯგანგრ და ლჰურტრის ტყის შუა ჩვენ მოვიგერიეთ მტრის ორი იერიში.

საღამოს ოფიციალური ცნობა. ბელგიაში 23 ივნისს მტერმა იერიში მოიტანა პილვეტის სამხრეთ-დასავლეთით, მაგრამ ფრანგების და ინგლისელების არტილერიის ცეცხლით უკუდევებულ იქნა დიდის ზარალით. ანგრი და სუშეს შუა დილის 6 საათზე მტერმა ხელ-ახლა განახალა იერიში, მაგრამ წარუბეჭდილი თხრილებიდან მცირე ნაწილის მეტი ვერ დაიბრუნა. კენევიერის რაიონში იბრძებან ხელ-სასროლ ყუმბარებით და საპირონა ნაღმების საშვალებით. ნუაიონის რაიონში წარუბეჭდილი ბრძოლა ჩვენ სასარგებლოდ დასრულებულა. შამპანიაში, ბოსეურას სიმაგრესთან ნაღმის აფეთქებით დიდი ზიანი მივაყენეთ მტრის თხრილებს. მასის და მოზელს შუა საარტილერიო ბრძოლა.

რომი, 26 ივნ. საზღვაო შტაბის უფროსი იუწყება: ადრიატიულ ზღვის ჩრდილოეთ მხარეში რაოდენიმე გემი საზღვრად გაუფრთხილ. დღეს დილით კრეკრისერ „ამილივი“-ს თავს დაესხა ავსტრიელი წყალქვეშა. ნაღმის აფეთქების უნაღვე კრეკრისერ მარცხენა მხარეს გადაიხარა. კაპიტანმა დაიყვირა: „გუმბარჯოს მეფეს, გუმბარჯოს იტალიას“-ო! შემდეგ სრული წესრიგის დაცვით მებრავურებმა დასტოვეს კრეკრისერ, რომელიც მალე ჩაიბრია. თითქმის სუყველა მებრავურები გადაირო.

სტოკჰოლმი, 25 ივნისი. გერმანიის მომხრე გაზეთს „აფტონბლადეტს“ საუბარი ჰქონდა ავსტრია-უნგრეთიდან ჩამოსულ სევენ-ჰეიდინთან, რომელიც ქებით იმსხინებს რუსის ჯარს. „რუსის ჯარისკაცების მამაცობა, სიქვა სევენ-ჰეიდინმა, მართლაც სანაქებოა. მტრებიც კი აღიარებენ ამას. გასაოცარია მათი მედგრობა. დიდის ოსტატობით მართავენ საგერ სიმაგრეებს. საერთოდ ჩინებულა აკეთებენ ყველაფერს, რაც შეეძება მოკვრივებს, არც ავსტრიელები გრძნობენ რაიმე მძულვარებას რუსებისადმი და არც გერმანელები. რაც შეეძება ჩაცმა-დასაფრვას, რუსები კარგად არიან მობრთუნნი, ხოლო ძალიან ემჩნევათ სამხედრო-სურსათის ნაკლებობას. რაც შეეხება ლოგოს, უნდა ითქვას, რომ იგი დანგრეული არ არის. ძარცვა-გლეჯის შესახებ რომ ხმები გაავრცელდა შეედურ გაზეთებში, ყოველგვარ სიმაართეს

მოკლებულია. ხელი არ უხლით არც მუხუშისთვის, არც საზოგადო კოლექციებისთვის და არც სხვა რამ ძვირფასეულობისთვის. რუსებს ერთი ქინძისთვის საფასურის არ წამოუღიათ საზოგადო საუნჯიდან. ეროვნული მუხუშის დირექტორი, რომელიც რუსეთის მეგობრად ვერ ჩაითვლება, ამბობს, რომ მას სრულებით არაფერი არ დაკარგვია. ვარდა რკინის გზის სადგურისა, სადაც ბრძოლა იყო, ქალაქის სხვა ნაწილი ოდნავათაც არ დაზარებულა. რუსის ჯარისკაცების ყოფა-ქცევა, განსაკუთრებით ქალებისადმი, რიგიანი იყო. სევენ-ჰეიდინს არც ერთ მოქალაქესაგან არ სენია საყვედური რუსის ჯარისკაცის ცუდი ყოფაცულებულია ის აზრი, რომ რუსები გავრცელებულია ის აზრი, რომ რუსები ნამდვილი რიგიანი მოწინააღმდეგენი არის. საერთოდ, სევენ-ჰეიდინის თქმით, რუსები ვულკანები და თავაზიანები არიან.

ქურაღ-გაზეთიდან

გერმანელების ახალი აპარატები
პოზიციებიდან რიგაში დაბრუნებული აფეთქებები ვაღმოვკვეყნენ, რომ გერმანელებს ჯარისკაცებისთვის დაუფრთხილათ ისეთი აპარატები, რომლის შემწვობით ერთ ჯარისკაცს შეუძლია ერთ და იმავე დროს ორ-სამ ტყვიისტყორცნილიდან სროლა. (კ. ს.)

რუსეთის მოძულე ელჩი.

ბერლინი დაინიშნა ბულგარეთის ახალი ელჩი, ბ-ნი რიზოვი. ბერლინის პრესა მას მიესალმა, როგორც რუსეთის დიდის მოძულეს, არც შემცდარა. ჩავიდა თუ არა ბერლინიში, მაცინი როზოვი აშკარად იქერს რუსეთის სამტრო პოზიციას. ცნობილია პროფესორმა შტეინმა „Vossische zeit“-ში დაბეჭდა თავისი საუბარი ახალ ელჩთან. წერია იმ წამსვე დიდი ყურადღება მიიქცია დიპლომატიურ წრეებში. როზოვის დაუფრთხილად განუცხადებია, რომ იგი ცდილობდა მაინც და მაინც ბერლინიში მიეღო ელჩის ადგილი, რომ უფრო ადვილად შესძლებოდა თავისი დიდი ხნის საყვარელი აზრის განხორციელება. მას სურს შექმნას ეკონომიური ბლოკი, რომლის მოქმედების ფარგალი ჩრდილო ზღვიდან ოქროს რკამდე უნდა სრულდებოდეს. ამ ბლოკში თვალსაზრისით რუსეთ ბულგარეთის სატანტო ქალაქმა უნდა ითამაშოს. ბულგარეთის ახალი ელჩი ამბობს სხვათა შორის, ბულგარეთს უფრო ადვილად შეუძლია შეეწყოს ოსმალეთსა და საბერძნეთს ვიდრე სერბიას. რიზოვის სურს შექმნას, ვიდრე ის ბერლინიშია, ახალი ბალკანეთის კავშირი, რომელიც ცენტრალური სახელმწიფოებისაგან უნდა შესდგებოდეს. ამ კავშირიდან სერბია გამორიცხული იქნებოა.

ოსმალთა მდგომარეობა.

ამერიკელი კორესპონდენტი იუწყება: მთლად გალიპოლის კუნძული ოსმალეთისაგან ციხე-სიმაგრედ არის გარდაქცეული. დიდი ზარბაზნები გერმანელებისაგან არის მიტანილი. სასროლი მასალა ოსმალეთს აუარებელი აქროთ. (უღენ“).

გერმანელი სოციალდემოკრატები.

ამ რამდენიმე დღის წინად დაიკეტა გერმანელ სოციალდემოკრატების გაზეთი „ფორვერტს“. ესლა მთავრობის განკარგულებით მისი გამოსვლა განახლებულია. გაზეთში მოთავსებულია წერილი, რომლითაც ყველა სოციალისტებს მოუწოდებს: ბრძოლისთვის შეერთდით, რათა გერმანიის სახელმწიფოს არსებობა უზრუნველყოფილ იყოს. ხალხი მოვალეა სხვა ყველა მოსახრებანი სამშობლოს კეთილდემობისთვის მიუწყებულ იქნას და მხოლოდ მამულზე იფიქროს.

შემდეგ იგივე გაზეთი აღნიშნავს გერმანელ სოციალდემოკრატთა შორის აზრთა განხეთქილებას. ორტალიოსი სოციალისტი ვესტმარილი ფრაქციიდან განდევნილ იქნა, რადგან ბიუჯეტის სასტიკად გააკრიტიკა. რევიზიონისტი კოლბი თხოლობს, პარტიამ ომის საქითხი ხელახლა გადაათავალეროს და ამასთანავე წინადადება იძლევა, რომ სოციალისტებმა სხვა პარტიებთან კომპრომისი დაუშვან და შეთანხმდნენ.

ეს როგორ ჰხდება?

„ნოვოე ვრემია“ სწერს: ბერლინიდან მოსულ გერმანულ გაზეთებში მოთავსებულია ყოველდღე პეტროგრადიდან საკუთარ კორესპონდენტების დეპეშები. გერმანული გაზეთი „დროიე ტაგესცაი-ტუნგ“-ში მოთავსებულია საკუთარ

კორესპონდენტისაგან ტელეგრაფით გადაცემული ცნობა, რომ გენ. სუხომილინოვი თანამდებობიდან დათხოვნილია. მინისტრთა საბჭოს წევრთა ისტორიული კრება მოჰხდა და ასეთი ცნობები ბერლინიში გვეტყავენ სწორედ იმ დღესვე, როცა იმავე ცნობას ჩვენ ვეპქდავთ რუსულ გაზეთში.

ეს როგორ ჰხდება, რომ ბერლინის გაზეთის კვოდა კორესპონდენტი ასე სწრაფად აწვდის გერმანელებს ცნობებს და ისიც იმ დროს, როცა ასეთი სასტიკი წესებია მიღებული? დიდად თავსატეხი საკითხია! ჩვენ გვგონია, ასეთი ამბავი გერმანიაში რომ მომხდარიყო და რუსებს გვეტყავნდა საკუთარ კორესპონდენტისაგან ცნობები იმავე დღეს, რა დღესაც ბერლინიში იბეჭდება, გერმანელების მთავრობა თავიანთი სასტიკო „გადაბრუნებდნენ“ და დამაშავებელი კაჩინდნენ. („ნ. ვრ.“)

არაბები გალიპოლში.

სტამბოლში ჩამოვიდა 4,000 ტრიპოლელი არაბი, რომლებიც გალიპოლის ნახევარ-კუნძულზე გაგზავნეს.

კანადის გაზეთების ცნობით, შეერთებულ შტატების ქალაქ დეტროიში „დო-იტრერ-ბუნდ“-ს საზოგადოების კრება მოხდა, რომელმაც გადასწვიტა მოითხოვოს ამერიკიდან მოკავშირეებისთვის სამხედრო სურსათ-მასალის განხიზგაყრამდღე. კრებამ გაამართლა ის გერმანელები, რომლებიც ქარხნებსა და ხიდებს აფეთქებდნენ და გამოსტყვა იმედი კანადის დამოუკიდებლობისა.

მორგანის დაქრის დაწვრილებითი ცნობა.

მორგანის ავარაკი გლენ-კოვშია, ნიუ-იორკიდან 25 ვერსზე. ავარაკი ნამდვილ მეფის სასახლეს წარმოადგენს. მორგანის სასაუბროდ ემზადებოდა, როდესაც სასახლის წინ ავტომობილი გაჩნდა. სტუმარს მოულოდნელიდ და შეკითხვაზე, რა გენგაზე, უცნობმა უპასუხა: —მე თქვენი ბატონის დიდი მეგობარი ვარ და მსურს მასთან ლაპარაკი. მოულოდნე არ უშობდა სახლში, მაგრამ უცნობი რეკვირით დაემუქრა. —ამ ხმაურობაზე ვფიქრობდი, რომ ჩემი გამოსვლა, უცნობს ესარგებოდა შემთხვევით და ორჯერ რეკვირითა უსჯიდა, როდესაც ბოროტ-გამზრახველი შეიპყრეს, მან განაცხადა: —მე მანუღლის პროფესორი ვარ, გვარად გოლტი. სიზმარის ღმერთმა მი-თხრა მომეკლა მორგანი და დამეხოცა მთელი მისი ოჯახი, რომ მით ომისთვის ბოლო მომეღო.—მორგანი მოკავშირეებს ეხმარებოდა ფულით. რამდენიმე დღის შემდეგ მორგანის ავარაკთან მთელი კოლოფი დინამიტი იპოვეს.—ფიქრობენ, გოლტს ალბად თანამაზრეც ჰყავდა.

ბულგარეთის მეტამორფოზა.

ინგლისის დიპლომატიის წარმომადგენელს საუბარი ჰქონია გენადიევთან, რომელსაც შემდეგი უთქვამს: „რუმინის პირველი მინისტრის ბრატანის ინიციატივამ სრულად მოხსნა საკითხი რუმინის, ბულგარეთის და საბერძნეთის ბლოკის შედგენის შესახებ. ბრატანია ამტკიცებდა, რომ რუსეთის გასვლა ბოსფორზე საშიხლ ბიფთის უმზადებს რუმინის, ბულგარეთის და საბერძნეთს, რადგანაც—ავსტრიის ხარჯით გადიდებული და რუსეთის წყარველობის ქვეშ მყოფი სერბია ბალკანეთში დიქტატორი გახდება. მაგრამ მე მიხარია, რომ ბულგარეთში არ გადაუხვია პარტიოსან გულს და მალე დამტკიცება, რომ ის სლავიანთა ქვეყნებთან ერთად არის“-ო. დიპლომატიურ წრეებში გენადიევის განცხადება დიდ მითქმა-მოთქმას იწვევს, რადგანაც დღემდე ის სულ სხვა პოლიტიკას აწარმოებდა ბულგარეთში. კარგად ვიცი, რომ გენადიევი რუსეთის მოწინააღმდეგე პარტიის მეთაური იყო.

ლიუქსენბურგელები და ომი

დღეს დღეობით საფრანგეთის ჯარში 9000 ლიუქსენბურგელი იბრძვის. ეს იმის დამამტკიცებელია რომ, ლიუქსენბურგის მცხოვრებთა დიდი ნაწილი ვერ შეუძრიდა პასიურ ნეიტრალიტას, რომელსაც იცავს ლიუქსენბურგის მთავრობა. როგორც ბელგიის გაზეთები იუწყებიან, ლიუქსენბურგში მოძრაობა იწყება; ამის გამო გერმანელები ფიქრობენ დიდ სამთავროში სამხედრო წესები შემოიღონ. ლიუქსენბურგის მთავრობა იძულებული იყო პროკლამაცია გამოეყვანა, სადაც მოუწოდებს მცხოვრებთ სიმშვიდე დამოკიდებითა და სიმშვიდით მოქმედების ტექსტი განიხილეს სამინისტროში, რომელსაც დიდი მთავრის ასული თავმჯდომარეობდა. აქ ის აზრით გამოითქვა, რომ თუ ლიუქსენბურგის მთავრობა არ ეცდება მცხოვრებთა და-

წყნარებას, მაშინ მოსალოდნელია თვითონ გერმანიამ მიიღოს სასტიკი ზომები. (დ.)

PUNCTUM SALIENS.

მსოფლიო ომის მიერ ავარდნილი ქარტახილია წამოაყენა მეტად მწვავე საკითხები, რომელთა ასე თუ ისე გადაწყვეტა მომენტის აუცილებელ მოთხვენილებას შეადგენს. მათ შორის საპატიო ადგილი უჭირავს ეროვნულ საკითხს. ზერეულადაც რომ გადავალოთ თვალი დღევანდელ ომის განვითარების ეტაპებს, რომ ოდნავ გავითვალისწინოთ მებრძოლთა ნამდვილი გულის წადილი, ჩვენ დავრწმუნდებით იმაში, რომ ეროვნულმა პრობლემამ თითქმის დარჩდილია, მათანქა ყველა სხვა: პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალურიც.

კულტურული კაცობრიობა კრიზისის განიცდის: დღეს იმსხვერვა ის ძვირფასი თანა, რომელშიაც ყოველ ეთნოურ ელემენტს თავისი წვლილი შეჰქონდა. ინტერნაციონალურ სოლიდარობას მოემტრება მთავარი შტო, მისი მაცოცხლებელი, გამამლიერებელი. არ იფიქრობ, რომ ეროვნულ ზღუდვში მომწყვედვა, ნაციონალური თვალსაზრისით განხილვა კაცობრიობის დღევანდელ ტრაგიკულ მდგომარეობას არის დროებითი მოვლენა—ამავე ტრაგიკული გამოწვეული. ნუ თუ ძალგვიძს პათოლოგიური მოვლენის დალი დავსვათ იმას, რასაც შესტრფის და შეჰნატრის კაცობრიობის საუკეთესო ნაწილი? გადაათვალერეთ საზღვარგარეთის, ან რუსეთის პრესა, გადიკითხეთ ის გულწრფელი, ამაღლებელი, მწუხარებით ამონაკვეთი ნაწერები, რომლითაც დაჩაგრულ ერთა რჩეული შეიღინ — სლოვენისა, მაკედონისა, ალბანეთისა, გალიციისა თუ პოლონეთისა—აუწყებენ საზოგადოებას მოძმეთა ტანჯვა-გებანს. ჩააკვირდით, რა გვარ ღონისძიებას ხმარობენ თვისი ერის გასაღვიძებლად, ეროვნულ გრძობის განსავითარებლად! ეროვნულ თვითშეგნების განმტკიცება, გულგამოდებითი დაცვა სამშობლო მიწის ყოველი ნაბიჯისა, პატრიოტ მოპურობა ერის ისტორიულ-კულტურულ ტრადიციებისა—ი და მასთანათეველი თვისება კაცობრიობის შემთავრებელს აზროვნებისა; ამაშია კენც შესესტისა, დედა-ზარი დღევანდელი რთული მდგომარეობისა.

ბედნიერია ის ერი, რომელიც ჟამსაკეთილსა დაადგება გაღვიძების გზას და უფრო ბედნიერია ის საზოგადო მოღვაწე, რომლის ენერგია სასვებით მიმართულია სამშობლოს კეთილდემობისაკენ. თუ კი საღმე ამგვარ მოღვაწეობას დიდად აფასებენ და ცდილობენ ყოველნაირად ხელი შეუწყონ ერის მოკეთეს, ჩვენში, პირიქით, „ოხსკურანტის“ სახელით ნათლავენ, ვინც კი გაბედავს სამშობლო დროშის აღმართვას. არც ისე ბევრი ხანი გასულა მას შემდეგ, როდესაც თვით ტერმინი „ეროვნება“ მეტაფიზიკურ მცნებად ითვლებოდა და ეროვნების მთლიანობის და განუყოფლობის მოტრფილად თითქმის სამარცხენო ბოძე იყო წარცმული თავისებურ იდეოლოგიების მიერ. არ ეროდებოდნენ არავითარ საშუალებას, ოღონდ კი ქუქყი მოეცებოთ ეროვნულ ნიადაგზე მდგარი მომუშავეთათვის და ეპიტეტი „ბურჟუაზიის დამქაში“ ხომ ისე უწმამურად იბნეოდა, როგორც კალოზე ბზე.

ან რად გვიდა წარსულის მოგონება? დღესაც-კი, ამ საშინელ დროს, როდესაც ქვეყანა სისხლის ზღვად გადაიქცა, როდესაც ზოგიერთ ოდესმე აყვავებულ, მდიდარ სახელმწიფოთა ბედი სწორედ ბუეზე ჰქილია, როდესაც დღევანდელი ბრძოლა ჯოჯოხეთურის ხერხით და იარაღით უღმობებლად სპობს სიკოცხლებს ასე ათასობით, ბევრს თვალის ეკლად მოგვინა პატრიოტული ლოზუნგის წამოყენება... რა არის თქვენი მრწამსი?

—ეკითხებიან. თითქმის ვისთვისმე საქიროს ყოფილიყონ ამ ვამად პლატფორმების გამოყენება ან და არ ესმოდით ცნობისმოყვარებს ლოზუნგი და ჩვენი credo! როდესაც მალა აღმართულ დროშაზე გარკვევით გამოსახულია „სამშობლო“, იქ შეიქთება მრწამსის შესახებ სრულიად ზედმეტი და უადგილოცხებ ვიგულისხმებთ ქართველ ხალხს, როგორც ერთ შემადგენლობას, და მის ინტერესების დასაცავად ბოლომდის ვიბრძობებით; ჩვენი მიზანია ადვანდობით და გდმომცნობით ქართველთა ხელში მისწავალი, რომელიც მის ისტორიულ კუთვნილებას შეადგენს და რომელიც მას უკუღმართ დროს „ნებსით თუ უნებლით“ გამოეცალა ხელიდან; ჩვენს მოვალეობას შეადგენს ქართველ

ერს თვალს აუხილოთ, ავამოძრაოთ, მივცეთ მოქმედების სფერო! რათა მან ნათლად შეგვეხსნას სწავლები, რომელიც მოელის საქართველოს, თუ გადაგვარების მასაზრდოებელ ფაქტორებს დროზე არ მოუხსნეთ ფესვი; ჩვენს წადილს შეადგენს დაცვა ქართული ენისა და მწიგნობრობისა, ლიტერატურისა და კულტურისა... ესვერანტომ და სხვა ამ გვარ ხელოვნურად შედგენილი ენებმა იმიტომ ვერ გაიდგეს ფესვი, რომ დაშორებულნი არიან ერის შემოქმედლები ძალას და ამიტომ არაფერს უთხრობენ და არაფერს აგრძნობინებენ ადამიანის სულსა და გულს. ენა არ არის მხოლოდ საშუალება ადამიანთა შორის ურთიერთობისა, მისი მნიშვნელობა უფრო ღრმაა; ამა თუ იმ ერის ენასთან ჩვე გვესაუბრება ერის ისტორია, მისი ის დღევანდელი თვისება, კანონმდებლობა, ზნე-ჩვეულება და საზოგადოდ ის, რასაც შეადგენს ეროვნული კუთვნილება... თუ ფსიხოლოგ-რომანისტი დონსტოვესკი ერთ-ერთ რომანში დასძენს, რომ სიცილის ავ-კარგობა ახასიათებს ადამიანის ღირსებას, ჩვენ თამამდ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ენას სილამაზე თუ სიტლანქე სასვებით ახასიათებს მის პატრონ ერს. ქართულ ენას პიროვნული ღირსების უფრადგენ ლამაზ, მოხინდელი და ფილოლოგიურის მხრივ მეტად მოძრავ და მდიდარ ენას; ეს ენა დღეს შეღაბულია და შებილწული. ჩვენ მიზანს შეადგენს ნამდვილი ქართული ენის აღდგენა, რისთვისაც მოუწოდებთ ქართველ ხალხს, შეიღები დედა-ენაზე აღზარდონ, შეაყარონ მათ სამშობლო ლიტერატურა. ჩვენდა საბედნიეროდ ქართველმა ხალხმა უკვე შეიგნო აუცილებელი საქრიოება თვისი ეროვნების დამკვირვებისა. მან საკმაოდ აღიმალა ხმა მოუფიქრებელ და უნიადგო კოსმოპოლიტის წინააღმდეგ.

მაშ, ხელი შევეწყობ ჩვენი ხალხის ეროვნულ შეგნების განვითარებას და შეერთებული ძალებისათვის დავსწვით ეროვნულ-კულტურულ იდეალის მისაღწევად. **ნ. ინგლო.**

3 რ ე ს ა

„გოლ. მოს.“ მოგვიხარობს კიდევ ერთ კუროხულ ამბავს სამხედრო ცენზორთა მოქმედებიდან.

გამოჩენილ ფილოსოფოსის ვლ. სოლოვიოვის წერილი აღმოუჩინათ თავის მკგობართან მიწაწერი, სადაც ამბობს: დღეს ეროვნული მისწრაფება და იდეა არის გამეფებული, და რომ ეს ასეა არც არაფერია საძრახისი. მაგრამ ეროვნული მისწრაფება თუ იდეა, როგორც სხვა იდეა, ადამიანმა შეიძლება სხვა და სხვანაირად განმარტოს. ჩვენში ძალიან გავრცელებულია ისეთი შეხედულება ეროვნულ საკითხისა, როგორი შეხედულებაც ჰქონდა ველურ გოტენტოტს სიკეთესა და ბოროტებაზე. როცა ველურ გოტენტოტს ჰკითხეს: რა არის სიკეთე და რა არის ბოროტებაო, მან მიუგო: „მე თუ სხვას საქონელს ან ცოლს მოვსტაცებ და მივისაკუთრებ, ეს იქმნება სიკეთეო, და თუ სხვამ მომტაცა, ეს ბოროტება იქნებაო.“ ამრიგადვე ბევრი ჩვენი ნაციონალისტი შეაქებს საკუთარ ხალხისადმი სიყვარულს.

თუ სხვამაც მოითხოვა თვის ერისთვის კეთილდემობა, მაშინ სხვა ეროსიყვარულს საკუთარ მამულისადმი მოღალატეობად მნათლავს. მიუხედავად ამისა, რომ მეტად გავრცელებულია ასეთი შეხედულება, მ მაინც ვფიქრობ, რომ რუსის ეროვნულ იდეა არ შეიძლება ველურ გოტენტოტის შეხედულებას მსგავსად იყოს და ყარებულა, რუსის ეროვნულ იდეამა არ უნდა გადაუხვიოს სიმართლის და საერთაშორისო-საკაცობრიო შეთანხმების გზას. საჭიროდ ვრაც ვისურვებ ნამდვილ რუსის იდეებს განხორციელება და ეს განხორციელება უნდა გამოიხატოს იმაში, რომ პოლონეთს უნდა მიეცეს ავტონომია, თანასწორი უფლებებრავლებს და თავისუფალი განვითარება ყველა ერისა, რომელიც კი რუსეთს სახელმწიფოს საზღვარშია მოტანებული



ავადმყოფი მგოსანი ვაჟა-ფშაველა 15—20 წუთში დახატული მხატვრის ვ. სიღამონ-ერისთავისა.



გენ. პოლივანოვი რუსეთის ახალი სამხედრო მინისტრი.



ქართველი რაზმელები საზღვრავ გორაკზე ნახატი მხატვრის ვ. სიღამონ-ერისთავისა.

სა იყო, მაგრამ სა ალარ იქნება

დღმა ამბებმა მთელი მსოფლიო შესდრეს. დიდი და პატარა ერები ახმაურდნენ, ფეხზედ დადგნენ და თავის საკუთარ დიდსა და პატარა საქმეებს იკეთებენ. ფეხზედ დადგა თვით ვებერთელა რუსეთიც.

ამას წინად გავიგეთ საყურადღებო ამბავი პოლონელებზედ, რომელთაც ნება დართო საერობო თვითმართველობისათვის მომზადება-მოწყობისა.

გუშინ-წინ დღეებში გვამცნო, რომ ციმბირელებსაც ამავე ერობის შემოღება მოუთხოვნიათ.

დღეს სომხები თათბირებს მართავენ და შუამდგომლობენ სადაც ჯერ-არს ამიერ-კავკასიის ერობის შემოღების თაობაზედ. ერთი სიტყვით, ყველანი დაფაცურდნენ და თავის საქმეების მოწყობას შეუდგნენ.

დაიწყეს ერობის თვითმართველობიდან.

ამ საკითხის გარშემო ნამეტან ენერჯიას ჩვენი მეზობლები სომხები—იხევენ.

იკრიბებიან, სხდომებს მართავენ, სწერენ პროექტებს. ერთ დროს ქართველთა

და ეხლა კი სომხთა მოღვაწემ გ. თუმანოვმა 1909 წლის ამიერ-კავკასიის საერობო თათბირების „დასკვნები“ შეიმუშავა, მისდამხედვეთ შეადგინა „ამიერ-კავკასიის საერობო პროექტი“ და სახელმწიფო სათათბიროს წევრებს და ცნობილ რუსთა პოლიტიკურ მოღვაწეებს დაუგზავნა.

სხვათა შორის, მის მიერ შედგენილ პროექტში, ამიერ-კავკასიის დიდი ქალაქები ცალკე საერობო ერთეულებად არის გამოყოფილი და შეტანილია ცალმხრივი ტენდენციები. ასეთი „პროექტები“ ჩვენი მეზობლებისა, ჩვეულებრივად, ამიერ-კავკასიაში სხვა მოსახლე ერთა აზრად სადღებია. მთავარი აზრი სომხების მიერ შედგენილ „პროექტებისა“ ყველასთვის, ცნობილია: რაც შეიძლება მეტი თავისთავის და თუ შესაძლებელია, — არაფერი სხვისთვის.

ამიერ-კავკასიის საერობო „პროექტი“ ასეთივეა

ამ „პროექტი“-ს შინაარს ჩვენ ცალკე განვიხილავთ. ჯერ-ჯერობით კი ვიტყვი, რომ საზოგადოდ იგი ერთგვარ ტენდენციებით არის შედგენილი და საერთო მეტად მცირე რამ აქვს ამიერ-კავკასიის დანარჩენ ერთა ინტერესებთან. და თუ დღემდის ასე იყო, რომ ამგვარი „პროექტები“ სხვის ხარჯზე და სხვის სახელით სადღებოდა, დღეს ეს აღარ მოხდება.

დროც გამოიკვალა, ყველამ თვალი

გაახილა და შეამჩნია კიდევ ბევრი რამ შეუმჩნეველი.

ასე იყო, მაგრამ ასე აღარ იქნება. ექვს გარეშეა, რომ მომავალი დრო და ჟამი ამას დაგვიმტკიცებს.

ეკალი. მაუ შვილი პარაკლისი რიდასთვის გადახინდა?

სახაზინო პალატის მოხელე ივანე ძალიან გახარებული იყო: შვილი პარაკლიკი გამოუვიდა.

— აბა, ეხლა ვარ, თუ ვარ რამე, თორემ წინად რა ვიყავი! — სთქვა აღტაცებულმა. — მართალია პალატის ჩინოვნიკობაც კარგია, მაგრამ აფიკერი სულ სხვაა... ეგრე უნდა, შვილი მამას უნდა სჯობდეს.

— ეგრე უნდა მამა! — დაუკრა ცოლმა სალომემ კვერი. — ვინაცვალე ჩემ პადპორჩისკი კი ჯამაგირს აიღებს და ჩვენ კლუბში ლოტოს ვითამაშებთ. როგორ შეშურდება სოფლის, ქეციანი ჩინოვნიკი შვილი რომ ჰყავს!

მაგრამ იმი გამოაცხადეს და „პოდპორჩისკი“ დედა დაგვიღონდა. ივანემაც ყურები ჩამოყარა; სიამაყე ხელიდან გამოეცალა.

— წავიდეთ, სულიკოჯან, ერთი მღვდელს ვაწვივინოთ, პარაკლისი გადავახდევინოთ! მიმართა ერთს დღეს ცოლსა ივანემ. — ემანდ ჩვენ ვალოდას არაფერი მოუვიდეს რა!

— წავიდეთ, ჩემო სულიკო! — უთხრა სალომემაც.

გზა-გზა სულიკო და სულიკო სულ აქეთ-იქით იტყირებოდნენ და გამველ-გამომველს გულდასმით ათვალიერებდნენ.

ქალაქში ჩვეულებრივი მოძრაობა იყო. იმის პირველ შთაბეჭდილებას გაველო.

— ერთი უყურე, სულიკოჯან, როგორ ყველაფერი მოწყენილია! — უთხრა ივანემ ცოლსა.

— მამა! მამა! ყველაფერი მოწყენილია! — დაუდასტურა სულიკომ. — კლუბში ხალხი აღარ დადის...

ერთი თვე იყო, რაც სალომე კლუბში აღარ დადიოდა, და გულს ჯავრად აწვა. ჩვენ მეზავრებს გვერდზე ფაიტონმა გამოუჭროლა. შიგ ახალგაზდანი ისხდნენ და არღანზე ქეიფობდნენ. ტროტუარებზე მომღიმიარი ხალხი დასერილობდა. მალე სულიკოსა და სულიკოს გარმონიკამაც დაუტკბო ყური, ერთს ადგილას ჩხუბში მოჰყვენენ. კურტიანი მუშები ერთმანეთს ეკრტნებს სთავაზობდნენ. რომელსაც სალომეს უნებურად კაბის ბოლოზე ფეხი დაადგა.

— გაგიყებულან, ეს ოხრები, გაგიყებულან სწორედ! — წამოიძახა ივანემ გულის წყრომით. — იქ ჩვენი ვალოდა ამით გულისათვის სისხლსა ჰღვრის, ესენი კიდევ აქ ერთმანეთს ცხვირ-პირს ამტვრევენ...

— ნეტავი ვიციოდე, სოფიო კლუბში დადის თუ არა? — წამოილაპარაკა სალომემ. — ის ხომ თავისას არ მოიშლის!... მერე ფულსაც იგებს მალ-მალე!

— სულიკოჯან, მოდი კაბის ბოლო დაგიმავრო!

სულიკომ ჩიხტიდან ქინძისთავი გამოიძრო და სულიკოს მიაწოდა.

— ანჩხატში მივიდეთ, სულიკოჯან! — უთხრა ივანემ სალომეს, როცა კაბის ბოლო დაუშავრა.

— მივიდეთ, სულიკოჯან! — გაისმა თანხმობის ხმა.

ანჩხატში თითო მანეთიანი სანთლები დაანთეს, მღვდლის დახმარებით ვალოდა ღმერთს შევედრეს და შინ დაბრუნდნენ. მესამე დღეს დეპეშა მოუვიდათ.

ობოზში გადამიყვანესო, სწერდა შვილი, კარგადა ვარო.

— ნახე, სულიკოჯან, პარაკლისმა რა ქნა! — უთხრა ივანემ ცოლსა.

— ვინაცვალე ანჩხატის მადლსა! — სთქვა სასოებით სალომემ და პირჯვარი გაიღწერა. — ჩემ შვილს დილობა მიუღია, აბოზჩიკი გამხდარა!

რაკი ერთმა პარაკლისმა ასე გასჭრა, სხვა ექვსი კიდევ ზედ მიაყოლეს. ცოლ-ქმარი კი გუნებაზე დადგა.

დრო გამოშვებით დეპეშები მოდიოდა: ვალოდა ხან სწერდა, კარგადა ვარო, ხან სწერდა ჯგერა მივიდეთ, ან არა და, იქა და იქ გადამიყვანესო. სალომეს ეს

ი ვ ე რ ი კ ო

ლ რ ა მ ა ხ თ მ ო ქ მ ე დ ბ ა ლ *)

ს ა ნ დ რ ო შ ა ნ შ ი ა შ ვ ი ლ ი ს ა

მ ო ქ მ ე დ ბ ა ლ ა მ ო რ ა

ს უ რ ა თ ი მ ე ო რ ე

ოთახი ლომარაინდის ციხე-კოშკში. სამსავე კუთხეს ძვირფას ქსოვილიანი ფარდები ჩამოფარებული. უკან ფარდა ნახევრად არის გადაწეული, და მოსჩანს ძვირფას თვალბეჭით მოქდილი სამსხვერპლო, რომელზედაც სდგას ლომის ქანდაკება. კარებზედ დარაჯები სდგანან.

VII

ლომა-რაინდი, სამი ვეზირი. კარებთან დარაჯები.

ლომა-რაინდი. (რომელსაც ტანთ ლომის ტყავი ჰმოსავს, ზის ტახტზე ღრმად ჩაფიქრებული. თან და თან მის სახეზე ბრაზი და სისასტიკე იხატება. მისი ხმა ხან ცივია, ვით ყინვა, ხან მღვლეარე. თვალს გადააქვლებს მის წინ დამხობილს სამს ვეზირს.)

აღვიძეთ ზეზე და ხელო ვნახავ, თქვენში სიმართლე რომელს მიუძღვის, როს ანთებულ ქურაში შეხვალთ. თქვე მუხანათრო, მე სამს რაინდს ცხარედ ვებრძოდი, ჩემი სიცოცხლე მათ მახვილ ქვეშ ბეწვზე ეკიდა და თქვენ ამ ხანად განცხრებოდით ქალთა ხევენითა. რად დაგავიწყდათ ამ დროს თქვენი მოვალეობა? აქ რას გეყენათ დარაჯული მშველი ჯარი?

ერთი ვეზირი. დიღო ბატონო —

ლომა-რაინდი. ჩუმა! არა მსურს რამე ვიციოდე! თავის მართლება მეტი არის — თქვენი მსაჯული გახურებული ქურა არის და ჩემი ღმერთი! იქ დამანახებებს თქვენს სიმართლეს, თუ ცოცხლად დარჩით! მე თქვენს მაგივრად სხვა ვეზირი უქვე დაენიშნე და თუნდ თქვენგანი სასწაულით კიდევ გამართლდეს, აღარ ვენდობი თქვენს განცხრომის მოყვარულ გულსა. განცხრომა იგივე სიკვდილია! — რად არ იციოდით? და ამ სიკვდილსა მიმზადებდით მე ბრძოლის ველზე, რომ დროზე თავი რაინდთაგან არ დამეწვიანა! რა იქნა ჩემი უთვალავი, დიდი ლაშქარი, რომლით მთელს სოფელს შიშის ზარსა თავზე ვატებდი? თქვენის წყალობით დამიღუპა სამმა რაინდმა?

ო, ჯოჯოხეთის უნდო კერძო, თქვე მუხანათრო! დღემდე განთქმული მწარედ შერცხვა ჩემი მარჯვენა, და, როს პირველად ამ ჩემს ქერ ქვეშ ფეხი შემოვდგი, ჩემს სასახლიდან შემომესმა მხეგლის დაკინვა! — ეხლა რაღა ვარ? იმ რაინდთა რომ მოისურვონ, ჩემს სამშობლოში, ვით ტყინას, მათამაშებენ და ჩემს ხალხს უიღეს დაადებენ საშვილიშვილოდ — აი, ასეთის სამსახურით გამომასპინძლით!

ოდეს გაიგეთ, მოციქულნი ვით შეურაცხვეს, რად არ იფიქრეთ, ექმნებოდათ მით გული შვინით, და რატომ უმალ ბრძოლის ველზე არ გამოსწიეთ? წყეულიმც იყოს იგი საშო, რომელმანც გვობათ!

(სიჩუმე)

ჩემს მთავარსარდალს დამიძახე, ეხლავ მეახლოს! (ერთი ვეზირი გადის)

VIII

ივინივე, შემდეგ მთავარსარდალი, უფრო შემდეგ ლომას დედა ამალით.

ო, ჩემი ბოლმა გულის მკვლელი არ მომასვენებს, უკეთუ ჯავრსა გასავალი მალე არ მივეცე. იმ ერთმა მუქამ დაამარცხოს ეს სარაინდო, რომლის მცხოვრები ასჯერ მეტობს? (შემოიღის მთავარსარდალი და მდებლად თაყვანს სცემს)

ამ მოკლე ხანში

კაცნი დაჰკზანენ, შემეიკრიფონ ურიცხვი ჯარი, რომ მათი დათვლა მე ვერ შევძლო ცხრა დღე და ღამე! (სარდალი გადის. სიჩუმე.)

ჩემს ვარსკვლავთ მრიცხველს დამიძახეთ! (ერთი ვეზირი გადის)

ბედს ვაკითხვინებ!

ნუ თუ ასული ივერიკო დამრჩეს მარად ჟამს მიუწლომელი და ვერ დავსტკბე მისი მშვენებით? თუ ასე არის, მაშ სურვილი რად არ ჩაქრება და რატომ ფიქრი იმ მშვენიერს არ დავიწყებთ? რა უნდა იყოს ქვეყნად ჩემთვის მიუწლომელი?

ლომას-დედა. (შემოიღის, უკან მრავალი მხევალი და ამაღა მოსდევს. უკანასკნელ სიტყვებზე უპასუვებს)

ო, ჩემო შვილო! არ იქნება ეგრე წუხილი! გარდაიფანტე მაგ გულიდან მწარე ნაღველი! განა ამ ქვეყნად რა გაკლია, რომ სულს იტანჯავ? განა სახელი შენი, შვილო, ზეცას არ სწევდება?

განა სიმდიდრე შენი, შვილო, სხვასაც თვალს არ სჭრის? განა მცლობელობ მცირე ერზე და იგი ერთი შენს შარავანდელს არ დაჰხარის და მით არ იშვებს? ანუ ცოტა გაქვს დაპყრობილი უცხო ქვეყნები? გაერთე შვილო გასართობით! შენი მხეველნი — ეს ტურფა ქალნი — განა შენს სულს არ ადაცებენ ვენების ნაყოფით და მით შევებით არ განაცრობენ? — მაშ, ჩემო შვილო, იმ ერთისთვის რაღად იჭირებ, ანუ რას აქნევ იმის ხალხსა, მისებრ გულზედას?

ლომა-რაინდი. ო, დედაჩემო! ის არის, ის, მე რომ ძილს მიფრთხობს!

სხვა ყველაფერი ამ ქვეყნისა მომბეზრებია და რამდენადაც მრჩება იგი მიუწლომელი, იმდენად უფრო სიღრმითა ვგრძნობ მისდამი წყურვილს. დავთმობ ჩემს სახელს, ჩემს დიდებას და ჩემს სიმდიდრეს, მეუთუნოდეს კი მისი ნორჩი, ამაყი გული! ო, ყველას მაშინ შეგიტკობდი, შევიყვარებდი!

ლომას დედა. ამაო კუმენით რას გაჰხდებო? — თავს დაიტანჯავ და მეც შენს მშობელს გულსა მატყენ შენის წუხილით. მე მას არ გირჩევ, იგი არ ჰყო შენს საკუთრებად, მაგრამ ამისთვის საჭიროა დროის შერჩევა, რომ შენმა ბრძოლად უნაყოფოდ არ ჩაიაროს. ეხლა კი, შვილო, მოუწოდე შენს ჩანგს დამკერულთ, შენს ტურფა მხეველს ათქმევიანე ზღაპარ-შაირნი.

ლომა-რაინდი. დიახ — შაირნი! — დამიძახეთ ჩემს კარას მგოსანს, იმღეროს ჩანგზე მუხამაზაზი ივერიკოზე. (ვეზირი გადის და შემოჰყავს მოშაირე მგოსანი, უკან მესაზნდრეები მოსდევენ.)

IX

ივინივე, მგოსანი და დამკერელები.

ლომა რაინდი. ო, მას შეველო განეკურნა დაქრილი გული, და ჩემს რისხვასაც ბოლო სრულად მოვედებოდა. მაგრამ დღეს უნდა იგი რისხვა ჩანეთ ჩავიკლა, რომ შემდეგ მეტის ძლიერებით კვლავ აღმოინთოს, რადგან მე მხოლოდ ოცნება და ციური ხნები კმაყოფილებას ვერაოდეს მომანიჭებენ — იგი თვით მინდა თვისის გრძობით, თვისის სიცოცხლით! —

მგოსანი. (მემუსიკენი უკრავენ. მგოსანი მღერის) იგი ერთია შორეული, ტურფა ასული! ნარნარი არის მისი გრძობა, გული და სული! მასზეა მხოლოდ სხვი მზისა ზედ გარდმოსული!

*) იხილე „საქართველო“ № 13, 19, 25.

გადაყვან-გადმოყვანაც დიდობა ეგონა და ხარობდა. ივანე იქამდე წათამამდა, რომ წვეულობაც გამართა.

სადილზე სულ ვალოდას სადღეგრძელოსა სვამდნენ. შეზარხოშებული სტუმრები მამულისა და ხელმწიფის მხსნელს, იმედს ეძახდნენ. გამარჯვებას უსურვებდნენ.

— დეპეშა მოვიდა, ბატონო!

— აუწყა ივანეს მეგობრები.

— ურრა! ურრა! დასძახეს სტუმრებმა.

— კიდევ მალეობას მიიღებდა... ივანემ ფოსტალიონს ერთი მანეთი აჩუქა. დარწმუნებული იყო, რომ შვილი კიდევ მართლა რაღაც ჯილდოს მიიღებდა (შვილი პარაკლისი ტყუილად კი არ გადიხადა).

დაჯილდოებული, დაპირილი და დასოცილი ქართველები



- 1) პრპ. კ. მათიაშვილი, მიიღო წმ. გიორგის ჯვარი მე-4 ხარისხისა.
- 2) შტ.-როტმისტრი გ. ლორთქიფანიძე, დაჭრილია.
- 3) პრპ. ვ. ხელაძე, მოკლულია, დააჯილდოვეს გიორგის ჯვრით მე-4 ხარის.
- 4) პრ. თ-დი ა. ლორთქიფანიძე, დაჭრილია, მიიღო წმ. გიორგის იარაღი.

ინ — ხანი.


ჩემს ალთქმას არ უღალატო

(სურათის ნაწყვეტი)

ჩემი გზის ერთ პატარა სადგურზედ რამდენიმე მგზავრს მოეყარა თავი და მოუთმენლად ელოდნენ მატარებლის მოსვლას. სადგურის ბაქანის ბოლოზედ ერთ გრძელ ხის სკამზედ, რომელიც მგზავრთა დასასვენებლად იყო გამართული, განმარტოვებით ისხდნენ ორი ახალგაზდა. ქალი და ვაჟი. თავები ძირს ჩაეკეციან და ღრმა ფიქრებს მისცემოდნენ... მხოლოდ დრო გამომდებით მოკრძალებით ერთი-მეორეს შეხედდნენ, წუთით თვალს-თვალში გაუყრიდნენ, ერთს საშინლად ამოიხრებდნენ და კვლავ მიეტყუებდნენ ღუმელს... გამომეტყუვებდა მათის სახისა, რომელზედაც სიმწარის დალი ემჩნეოდათ, ხშირი ოხვირა-კენესა და ხანგრძლივი სიჩუმე ამეღანებდა, რომ ორთავეს თანაბრად რაღაც განუშორებელი ნაღველი უტრიალებდა გულში. შეიძლება მთელი დრო, რომელიც მათ ჰქონდათ დარჩენილი ერთმანეთთან ყოფნისა, ისე სიჩუმეში გაეტარებინათ, რომ მათი მყუდროება არ დაერღვია სადგურის ზარის ხმას, რომელიც ამცნობდა

ბდა მიმავალთ მახლობელ სადგურად მატარებლის გამოსვლას.

— ნანო, — აკანკალებულის ხმით მიმართა ვაჟმა ქალს, — კმარა ფიქრი, იმით ჩვენს ნაღველს ვერას ვუშვებით, მხოლოდ ის ცოტა დრო, რომელიც დარჩენილია ერთმანეთთან ყოფნისთვის, ამოიდ ჩავგივლის... შესაძლებელია ჩვენი ერთად ყოფნაც პირველი და უკანასკნელი იყოს და ვეღარ გითხრა ის, რის თქმაც უნდა ჩემს გულს... რადგან ვინ იცის, რომელ უცხო მხარეს, რომელმა მტრის ტყვიამ გამიმხროს გული და ვეღარ ვეღარო ტურფა სამშობლოს ნახვას, ჩემს აღმზრდელ მინდორ-ტყვევებს. ვერც მახლობლის ცრემლებს, ვერც შენის ხელებით მიწის დაყრას და თვალების დახუჭვას... მაგრამ, გვედრები და გაფიცებ ჩვენს სიყვარულს, ნუ ინაღვლებ... პირიქით, მაშინ იამაყე, რომ ძვირფასი ადამიანი ზვარაკად შესწირე სამშობლოს... მოვალეობას... მხოლოდ ჩემი უკანასკნელი ალთქმა ეს იქნება... თუ ბოლოს ველზედ ბედმა მიმტყუნა და გმირულად მოგკვდი... მაშინ შენ აქ — ნუ უღალატებ ჩვენს სიყვარულსა. შესწირე თავი შვილის აღზრდას, შეაყვარე



პოლიტიკურ საათის რახა-რუხი:

აქეთ-იქით! აქეთ-იქით! აქეთ-იქით!...

რე სამშობლო... აუღვი ენა, რომ ჩემსავით პირუტყვი და აბუჩად ადგებული არ გამოვიდეს... მომეცი ალთქმა, რომ ჩემი ვალიკო არავისგან დაჩაგრული არ იქნება...

როცა ვაჟი ამას ეუბნებოდა, ქალი საშინლად იმდღურებოდა და ველარაფრის თქმას ვერ ახერხებდა.

ამ დროს ვაჟისმა მატარებლის სტვენა, რამაც მიმავალი შორის სადგურზე ჩოჩქოლი ასტეხა.

— მშვიდობით, — აღლევებულის ხმით დაიწყო კვლავ ვაჟმა, და თან მძღავრი მკლავები მოხვია ქალს.

ქალი ეხლა-კი დარწმუნდა, რომ ეს უკანასკნელი წუთებია იყო თავის ძვირფას გოგისთან ყოფნისა და ხმა მიღწეა ატრიადა, აქვითინდა. კვილმა და ქვითინმა სადგურზედ მყოფ ხალხის ყურადღება მიიპყრო. ვაჟი ყოველ ღონეს ხმარობდა რომ ქალი დაემშვიდებოდა და გაეჭუმებოდა, მაგრამ ამაოდ. მისმა აზვითებულმა გულმაკ ვეღარ გაუძლო გამოთხოვების ასეთ წუთს და თვალზედ ცრემლების გუბე მოადგა, მაგრამ რომ დაეფარა და დაემალა, უკანასკნელად ჩაიკრა გულში

საყვარელი არსება, მერე სწრაფლ გაუშვა ხელი და გაექანა მატარებლისკენ, რომელიც ის იყო გაჩერდა მათ წინ. ქალი კი ისევ იმავე ადგილას იდგა და განაგრძობდა ქვითინს...

მატარებელი დაიძრა, — ყველანი ვაგონებში შევიდნენ, უსულო მანქანა თანდათან უმატებდა სიარულს და სწრაფლ იფლავებოდა ღამის წველიაღში. ვაგონის საფეხურზედ იდგა ქაბუკი და თვალ-ცრემლიანი გაჰყურებდა მდიდარ ბუნებას, ნაცნობ მინდორ-ველს და თან გულში სალამს უძღვნიდა და ეთხოვებოდა ყველას და ყველაფერს. ბოლოს ერთხელ კიდევ გაიხედა სადგურისკენ და თუმცა იგი აღარ მოსჩანდა და შორსაც იყო, თავისდაუნებურად, თუმცა ვერავინ გაიგონებდა მის მუდარას, მაინც ხმაძლიერ გასძახა.

— ჩემს ალთქმას არ უღალატო... — და გულდათუთქული, ბარბაცით შევიდა ვაგონში...

მომოგლის ალსაკობა

მთელი ბუნება, ჯერ პატარა ხარ და ხანა-ვარე ზუსტ რეჟერჩენები, სანამ მზე სხივით გველერსება და ნეტარებით იესები, სტკებები, სანამ ცხოვრება შენ მიგაჩნია დედისა მკერდზე ვარდად გაშლილი, დილით მოგვლის მშვიდი ზღაპარი და საღამოთი სიხმარი ტკბილი, —

ნუ, ნუ გაივებ ჩემს სევდის მიზეზს, ცრემლიან თვალში ნუ ჩამომხედავ და გულმბრყვილოდ ნუ მკითხავ მშობელს; „სთქვი, რად ჰქვითინებ? — მითხარი დედა!“

მაგრამ როდესაც წამოიხრებდი და ყრბობის დილა მოგვერუბლება, სევდის ბურუსში გაჰქრება შენი სულის უმანკო თავისუფლება, როს შეგაშრება ტუჩზე ღიმილი და ძილს წაგართმევს მოუსვენრობა, ცხოვრება მავნე შხამს ჩაგაწვეთებს და მოგიკვდება უმწიკლო ნღობა, როცა ბოროტი მონად გამხდელი შენს მახლობლად დაიჩხრიალებს, ხოლო მომძვინვარებელი მკერდიდან სისხლის ჩქერა შეგეკრობოს თვალებს,

მაშინ, ოჰ, მაშინ თვით გასწავლი გზას და იქ ვაგზავნი, იმ ტანჯვის ველად, სადაც ყოვანი ჩემს გულსა ჰკორტნის და სული ჩემი — შენ გელის მხსნელად...

მაშინ გაივებ ჩემს ტანჯვის მიზეზს, ვაეკაცმა ვალი თუ შეარსული, ჯერ კი აღრეა კეთილი ბავშვი, ჯერ კი აღრეა, იხზიარული...

ბ. ფაშალიშვილი.

ფორილი აგვები

სამომარი ჯილდო.

ბურების ომის დროს ერთმა მოქალაქემ 10000 მანეთის ჯილდო ალთქმა იმ პირველ კანადელს ჯარისკაცს, რომელიც ვიქტორიის ორდენს მიიღებდა. ესხანდელ ომში ერთმა ფრანგმა 2,000 მ. ალთქმა იმ ჯარისკაცს, ვინც ბელთ გერმანელების დროშას იღებდა.

მეორე გვარი ჯილდო ომში მოსყლივითი ჯილდოა. 1911 წელს სპარსეთში პარლამენტმა 160,000 მანეთი დაუნიშნა მას, ვინც ცოცხალი, თუ მკვდარს ექს-შახს მოიყვანდა. აფრიკის ომის დროს ბურებმა თავიანთი მოწინააღმდეგის სესილია როდსას თავი 100000 მანეთად შეაფასეს.

მისთვისა ჰყავის გაზაფხულზე ვარდი მოსული. ივია ერთი შორეული, ტურფა ასული!

ტანად მიაგავს ვენებში სავსეს ღერწმანს რხეულსა, შეათა თვალთაგან იგი აფრქვევს სხივსა გრძელსა. შავს თმისა უწნავს განთიადი მზისგან რჩეულსა, მისის ეშხისგან მრავალს ვხედავ დაჭრილს, ძლეულსა, შუქი ნათელი ეფინება მის ნორჩ სხეულსა — იგი ერთია შორეული, ტურფა ასული!

მისი მშვენიერა მუღამ არის ჩაუქრობელი; ვინც კი მას ჰნახავს, ტყვედ იქმნების არსი ყოველი. სამს რაინდისთვის იგი იქმნა შეგების მთოველი.

ლომა რაინდი. (თავისთვის სევდით სავსე). ვაი, რომ ჩემთვის იგი დარჩა მიუწოდებელი!

მგოსანი. მუღამ ტკბილია მისი გული ნახად მგრძობელი, სიხარულია მთელის არსით შესამკობელი!

ლომარაინდი. (თავისთვის უფრო მწუხარე) მე რად ვაფრქვიო ცრემლი მისთვის შეუშრობელი?!

მგოსანი. ასეთი არის ივერიკო, ტურფა ასული!

ლომარაინდი (აწყვეტინებს, მკაცრად). კარგია, კმარა! ეგ სიმღერა უწინ მატკობოდა, მაგრამ ეხლა კი გულის ბრახს მგვრის, რაკი ეს გული უტლური იქმნა მომეპოვნა იგი მშვენიერა!

X

იგნივე და მოგვი.

ვეზირი. უკვე გაიხლა, მბრძანებელი, ვარსკვლავთ მრიცხველი!

მოგვი. (წინ წარმოსდგება და მდებლად მუხლს მოუყრის) დილა რაინდო! ვიცი შენი გულის პასუხი, თუ აქ რისთვისაც დამიბარე! მეც მოგახსენებ, მაგრამ, ვაი თუ, გაგახელოს ჩემმა სიმართლემ!

ლომარაინდი (წარმოსდგება, ჩასტკერის). შენმა სიმართლემ გამახელოს? ვანა რას მამცნობ? ვანა ჩემს მიზანს ღრმად ჩასახულს, ვერ აღვისრულებ?

მოგვი (მოკლედ, გამსქვალავად) ვერა, რაინდო!

ლომარაინდი (უკან დაიხეც და შემერთალს შეაჭრკოლებს სიჩუმის შემდეგ). იქნებ შევცოდე ჩემს დეათებას, ძლიერ ლომისას?

მოგვი არა, მიზეზი სხვაგან არის, დილა რაინდო!

ლომარაინდი (თვალეში ჩასტკერის. ცივად) მითხარი, ყურს გვიდებ! სთქვი სიმართლე და სიტყვას გაძლე,

თუნდაც სიკვდილის ბედისწერა ვარდამიშალო, არაფერს ვაგნებ!

მოგვი გამარჯვებას ვერ ეღირსები, ვიდრე მთელია ივერიკოს რაინდთ კავშირი: გულშიამ ცაზე ეს სიმართლე აღმოვიკითხე და შენი მონა აწ გამელავნებს, დილა ბატონო! და თუ შენს მსახურს რჩევას მკითხავ, მეც მოგახსენებ, რომ სამს რაინდში ერთი უნდა გადამოიბრო მოტყუებითა თუ სხვა ხერხით, ეგ სულ ერთია, და მას კავშირი თავის მძებთან დაარღვევინო, ძლიერო, მაშინ, გამარჯვება შენი იქმნება!

კარის მსახური. (შემობრბის და ფერხთ წინ დაემობა)

XI

იგანივე, კარის მსახური და შემდეგ ქართლო

დიდო ბატონო! ეს კი იყო, ჩვენმა შიკრიკმა სასიხარულო ამბავი რამ შეგატყობინა ქართლო რაინდი შენთან მოდის!

ლომა-რაინდი. სასიხარულო? და ეგ ამბავი ვანა მგამა სასიხარულოდ? რა უნდა ჩვენგან? — დამხობა და აწიოკება? — ო, რომ შემძღვლოს სისხლს დავლედეი მაგ რაინდისას!

კარის მსახური. არა, ლომო! იგი მოდის, როგორც მორჩილი, რადგან მას ყელზე თვისი ხმალი დაუკიდნია!

ლომა-რაინდი. გამარჯვებული ჩემთან მოდის დამარცხებულთან? როგორც მორჩილი? მოგეჩვენა! ან ჰქვავდ არ ხარ!

კარის მსახური. შენ თვითონ ნახე და დარწმუნდი — ავერ თვით იგიც!

ქართლო. (შემოდის. ხმალი ყელზე ჰკიდია, ნოშნად მორჩილებსა. ერთმანეთს დიდხანს უცქერიან).

ლომა-რაინდი. (ცბერად თან ძრახვით) მაკვირვებს შენი საქციელი! შენს დამარცხებულს მემუდარები? — ვხარობ შენის აქ მობრძანებით, და თუ შენთა მძათ გამოგზავნეს ჩემს დასაცინად, რასაც ვერ გამჩნევ, და ეს ალბად არც ეხერხება შენს დიდს ბუნებას — სხვაფეროგ მზად ვარ თქვენი სურვილი დაუყოვნებლად ავისრულო — გსურთ, ალაფს მოგცემთ, გსურთ, ჩემს ხაზინას თან გაგატან და ჩემს მხეველებსაც, მეფეთა ასულთ, გაგაყოლებ შენად საამოდ, ხალხსაც ვაგაწერ მალე ხარკსა თქვენს სასარგებლოდ —

ოლონდ ჩემს ერსა და ჩემს თავსა ნურაფერს აგნებთ!

— ო, ჯოჯოხეთის კერძიმც იყავ! რა დროს შევეწწარი! —

ქართლო. დილა რაინდო! იძლიეროს შენმა სახელმა, და ამას წინად, თუ ბოძოლაში ჩვენ რამე ვაგნეთ, მოვითხოვ შენგან პატივებსა და შენდობასა!

დღეს, როგორც ჰხედავ, არა მარტო ვაჭირვებული მიდის სათხოვრად, არამედ თვით გამარჯვებულიც. შენგან არც ალაფს, არც მხეველებს, არცა ხაზინას მე არ მოვითხოვ — მომეც მხოლოდ შენი ლაშქარი, რომ ჩემს თავზედ ძმებს შეგანანო დანაშაული და იგი ვირგო, რის ღირსსაც ქვეყნად ვშობილვარ.

ლომა-რაინდი. (დიდხანს გაშტერებული უშვრის) **ქართლო.** (აგრეთვე უშვრის სიჩუმე. ვეზირებს გადაჰხედავს) ნუთუ ამ თხოვნას, მეგობარო, არ აღმისრულებ? ჩემი ძმებისა შენც ჯავრი გვირს, ეს კარგად ვიცი, და ამ შენს ჯავრსა მე ვიძიებ — **მომეც ლაშქარი!**

ლომა-რაინდი. (იგიც ვეზირებს გადაჰხედავს სიჩუმე. შემდეგ თითქოს რაღაც მოაგონდაო, გამოერკვევა). გმადლობ, ო, გმადლობ, მეგობარი მოგგონებია და ჯერ შენ ჩემი ამავი არ დავიწყებია! (ვეზირს) — ჩემს მთავარსარდალს დამიძახეთ! — (ქართლოს) დიდსულლოვანო!

ჩემს თავს მოვალედ ვსთვლი ეგ თხოვნა მსწრაფლ ავიტრულო! — დაჰკარით დაფადეს! შესძრან ხალხი! ჯარი შეჰყარეთ (შემოდის მთავარსარდალი. ლომა მისკენ მიდის. მის წინ შეჩერდება და მკაცრად, მოსლექტით) მთავარსარდალი ჩემ ლაშქართა ქართლო იქნება! (ქართლოს თავის ხმაღს გადასცემს) შენი მარჯვენა, ჩემი ხმალი, აჰა, მიიღე! აწ წინ გამიძებ, შენს ძმებზედაც უფრო იძიე! და შენი ჯილდო მოიპოვე — დაფადეს დაჰკარით.

ფარდა

(შემდეგი იქნება)

წყალდიდობა დასავლეთ საქართველოში

ბათომიდან წამოსულმა საფოსტო მატარებელმა 26 ივნისს 9 საათით დაიგვიანა, საღამოს 6 საათის ნაცვლად, ღამის 3 საათზე მოვიდა თბილისში. მიზეზი დაგვიანებისა, სხვათა შორის ის არის, რომ სადგურ „რონის“ მახლობლად მდ. რონიდან გადინებულ წყალს რკინის გზის ლიანდაგი გაურღვევია. ფოთის მატარებელი, როგორც კონდუქტორებმა გადმოგვცეს, არ მოსულა სამტრედიის და არავინ იცის, რა ამბავია ფოთსა და ვაკე სამეგრელოში.

ქუთაისში ადრევე უცნობებითა და დეპეშით, რომინი ძლიერ აღიღდა. 25 ივნისს მოვარდნილა აზვირთებული მდინარე ქუთაისში. ყველა ზარალის აღწერა, რაცა ჯერ-ჯერობით მიაყენა გაშვებულმა მდინარემ ქუთათურებს, შეუძლებელია. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ რონის პირა შენობებს მდინარემ აივნები მოჰგლიჯა, საძირკვლები გამოუთხარა და ზოგიც სულ მოიტაცა; სასტუმრო „ილტა“ და ხანძრავს ხელოვნური წყლების ქარხანა ძალზე დაზიანებული; ბ-ნ ხათრისის წისკვილი და სახრები ქარხანა მოტაცებულია და სხ. და სხ.

გერდ წოდებულ ჯაჭვის ხიდს აუარებელი ხე-ტყე მოაწვა, ხეები ვერ გაეტია ხიდ ქვეშ და არის ისე გარჩხული. რა უბედურება დატრიალდა რაჭა-ლეჩხუმში, არავინ იცის, ვინაიდან არავითარი ცნობა ჯერ არ არის. ეს კი ცხადია, რომ დამზადებული ხე-ტყე სადმეიდან არის მდინარის მიერ მოტაცებული. როგორც ჰეიქრობენ, მოტაცებული სახლები, სახლის ავეჯეულობა, შინაური ცხოველი და სხვ. რაჭიდან უნდა იყოს წამოდებული.

ზუგდიდში და მის მახრამში 25 ივნისს კოკისპირული წვიმა-ნიღვარმა წალეკა ხიდები, დაანგრა სახლები. სულ ერთიანად გაანადგურა ყანები. მიმოსვლა შეწყვეტილია. დაწესებულებებში მეცადინეობა შესწყდა. წვიმა ისევ ისე მოდის. ნიაღვარი თანდათან ძლიერდება.

ქუთაისიდან ცნობა: რონმა ნაპირები გადმოხეთქა და რაც რამ ნათესი იყო სულ ერთიანად გააფუქა.

დღესასწაულის ბაზო „საქართველოს“ შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 1 ივლისს.

ახალი ამბავი

ქალაქის საბჭოს დარბაზში დღეიდან თათბირი გაიმართება სამხედრო სამრეწველო კომიტეტისა.

ბიურო ვეკილებისა. როგორც ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ატყობინებენ ქუთაისიდან, იქ დაარსებული ნაიცი ვეკილების ბიურო აპირებს იურიდიულ დასახმარებლად. სასურველია, სხვაგანაც დაარსდებოდეს ასეთი ბიურო.

საქეიმო ფაქულტეტი ქალთა უმაღლეს კურსებისა. კურსების დირექტორმა, პროფეს. თ. ვ. ბლაგოვიდოვმა თავის შეკითხვაზე—რომელი დაეხმარებინა კურსებს, საქეიმო ფაქულტეტი თუ მიემატა მას—ფრიალ კეთილსამელო პასუხი მიიღო ქალაქის მოურავისაგან და კავკასიის საქეიმო უწყების უფროსისაგან. ქალაქის თვითმართველობა ალტერნატივით მიეგება საქეიმო ფაქულტეტის გახსნის პროექტს და უსასყიდლოდ უთმობს მას პრაქტიკულ მეცადინეობისათვის არამიანის სახელობის საქალაქო სამკურნალო ყველა განყოფილებით და 360 საწოლით, ალექსანდრეს სახელობის საავადმყოფოს 120 საწოლით, სულთ ავადმყოფთა თავშესაფარს 50 საწოლით და ქალაქის გიგინურ ლაბო-

რატორიას. კავკასიის სამკურნალო უწყების უფროსი ძლიერ საჭიროდ მიიჩნია საქეიმო ფაქულტეტის გახსნა, ვინაიდან იგი ექიმ ქალებს მისცემს ჩვენ მხარეს, რომელთაც დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლებოდა, რადგან კავკასიაში ბევრი ისეთი ხალხი სცხოვრობს, რომელთა ქალები, თავიანთ ჩვეულებათა და სარწმუნოებათა მიხედვით, მამაკაცი-ექიმებს ერიდებიან. ამიტომ უწყების უფროსმა, კავკასიის უმაღლეს მთავრობის ნებართვით, ალუტეკა მომავალ ფაქულტეტს, —უსასყიდლოდ დაგთმობს იმ სამკურნალო დაწესებულებათ, რომლებიც საერობო თანხით ინახებიანო, როგორც, მაგალითად, მიხეილის საავადმყოფო და ოლგას სახელობის საბებო ინსტიტუტი. დირექტორი კურსების პროფესორი ბლაგოვიდოვი უშამდგომლობის აღძვრას აპირებს სახალხო განათლების მინისტრის წინაშე ფაქულტეტის გახსნის შესახებ ქალთა უმაღლეს კურსებთან.

ა. ჩხენკელის დეპეშა სამხედრო მისვლა-მიმოსვლის უფროსისადმი. ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავს ვთხოვთ მთავრობის და რკინის გზის წარმომადგენელთა სათათბიროდ დიღურ წესრიგში შეიტანოთ საკითხი ვაგონების მოგვარების დამშუღლ მახრებისთვის ქუთაისის გუბერნიისა. დაგვიანდა სომხელ მდგომარეობაში აყენებს დამშუღლ და აფუქებს მოსატან სიმინდსაც.

ისევ ვაგონების სიმცირე. ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას კავკასიის სამხედრო მიმოსვლათა უფროსმა, გენერალმა კარპოვმა, 60 ვაგონის მოწოდება მისცა ჩრდილო კავკასიიდან სიმინდის წამოსაღებად ქუთაისის გუბერნიის დამშუღლათვის ვაგონების განმანაწილებელმა კომიტეტმა როსტოვში ამ 60 ვაგონიდან ჯერ-ჯერობით მხოლოდ 18 ვაგონი დაუთმო საზოგადოების წარმომადგენელს, ბ-ნ ელიაძეს. მაგრამ ამ მცირე რიცხვის დათმობაც მხოლოდ ქალაქში იყო, ნამდვილად-კი ვაგონები ჯერ კიდევ არ მისულა იმ სადგურებში, სადაც სიმინდი უნდა დატვირთოს. ერთ კვირაზე მეტია, რაც ამ დანის გამო საზოგადოების გამგებმა დეპუტეტმა და წერილებს ჰგზავნის იქით-აქით, მაგრამ არა ეშველა-რა, ჯერ ერთი ვაგონიც არ არის დატვირთული. ამ უწყსრიგობის წყალობით დამშუღლი ხალხი გური-სამეგრელოში უკიდურესობამდე მივიდა.

კრება. წ. კ. საზოგადოების ბიბლიოთეკების მეთვალყურე, გრ. ბურჟულაძე, ჟმორჩილესად სთხოვს ნაძალადეგში მცხოვრებ ქართველებს მოზრდნდნენ ნაძალადეგის სახალხო თეატრის დარბაზში, ორშაბათს, 29 ივნისს, დღის 11 საათზე, ადგილობრივი ბიბლიოთეკის შესახებ მოსალაპარაკებლად.

მცენარეულობის წამლობა. ინსტრუქტორი რუსეთის ბაღოსნობის საზოგადოების განყოფილების კავკასიაში ბ-ნი ბაგრაძე ლიხვის ხეობაში მიემგზავრება, რათა გლეხების თანადსწრებით, განმეორებით უწყამლოს მცენარეულობას—ხეხილსა და ბოსტნეულობას.

იურიდიული სექცია. 26 ივნისს, ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების დავალებით, სხდომა ჰქონდა რამდენიმე ქართველ ვეკილს და გადასწყვიტეს სხედულ საზოგადოებასთან დაახარონ იურიდიული სექცია. არჩულ იქნა კომისია, რომელმაც ეს საქმე საესებით უნდა მოაწყვიროს.

დამშუღლთა სიმინდისათვის ვაგონები. გროზნიდან ცნობა მიიღო ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ, რომ როსტოვის კომიტეტისაგან უკვე მოვიდა ნებართვა სიმინდისთვის ვაგონების მოკემის შესახებ და სიმინდით ჩქარა დაიტვირთებო. ამ რიგად 18 ვაგონი სიმინდი ადრე მოეშველება დამშუღლ გურია-სამეგრელოს.

ცხინვალის რკინის გზა. როგორც დანამდილებით გავიგეთ, გორის მახრის თავდა-ზნაურთა ერთ ნაწილს გადაუწყვეტია სთხოვს გუბერნიის თავდა-ზნაურთა მარშალს იშუამდგომლოს, საცა ჯერ არს, რომ გაყვანილ იქნეს გორიდან ცხინვალამდე რკინის გზა. ამ საგნის განსახორციელებლად ბევრი შრომა დასდო გუბერნიის მარშალს ყოფილმა თავ. გ. დ. ბაგრატიონმა, მაგრამ მაშინ სიტყვის საქმედ ქვეყანა არ მოხერხდა, ხოლო ოქტომბრ-კი არსებობს, რომ ამ საკითხს ისევ დაბრუნდონენ და სასურველად დაემთავრებინათ. ელაწვარედ დროა, ამ ფრიალ დიდმნიშვნელოვან საქმეს დაუბრუნდეს თავდა-ზ-

ნაურობა, რადგან კახეთის რკინის გზის კეთება თავდება და ამ გზაზე მომუშავე სპეციალისტების საშუალებით იფად და ადვილად შეიძლება გორი-ცხინვალის გზის გამორკვევა და სამეგრელო ხარჯთაღრიცხვის შედგენა.

ორშაბათს, 29 ივნისს, საღამოს 8 საათზე თავდა-ზნაურთა დეტუტატების საკრებულოში მოხდება აკაკის ნაწარმოებათა გამოცემულ კომისიის სხდომა.

საქალაქო სკოლებში. ქალაქის საბჭოს სამოსწავლო კომისია შეუდგა მასწავლებლების კანდიდატთა სისის შედგენას. იმათ თხოვნებს, ვისაც საქალაქო სკოლებში მასწავლებლობა სურს, ყოველ-დღე ღებულაბს კომისია. სიები ღებება ცალ-ცალკე რუსულ, ქართულ და სომხურ სკოლების მასწავლებელთათვის.

დაქრილ და ავადმყოფ ჯარისკაცთა რაოდენობა. ქალაქთა კავშირის ლაზარეთებში ყოფილა ამ ჟამად 7.470 დაქრილი და ავადმყოფი ჯარისკაცი, საქველმოქმედო საზოგადოებათა—1061, ერობათა კავშირისა—50 და საქალაქო ლაზარეთებში 190 კაცი.

ხილის საჭიროება. სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ არაგვის ხეობისა და საგურამოს რაიონის მცხოვრებთა გადაუწყვეტიათ სთხოვონ გუბერნიის თავდა-ზნაურთა მარშალს, იშუამდგომლოს, საცა ჯერ არს, არავგზე ხილი გაკეთდეს მცხეთის მაკლობლად.

სურსათი. 26 ივნისს მოტანილია თბილისში: ფქვილი 11 ვაგონი, შაქარი 8 ვაგ., ფხენილი შაქარი 4 ვ., ბრინჯი 1 ვ., მარლი 1 ვ., ქვის-მარლი 2 ვაგ., კიტრი 1 ვ., ხილი 2 ვ., ქერი 2 ვ., შე-შა 3 ვ., ქვის-ნაშხირი 4 ვ., ნავთი 4 ვ., რკინეულობა 1 ვ., კირი 1 ვ., კარტოფილი 228 ფუთი, კარაქი 58 ფ., ახალი თევზი 171 ფ., ქალაქი 751 ფ., ღვინო 772 ფუთი.

რედაქციამ მიიღო „თეატრი და ცხოვრების“ უკანასკნელი ნომერი. მთელი ნომერი ქართველ მაჰმადიანებს შეეხება. ნომერში მოთავსებულია სხვათა შორის სამაჰმადიანო საქართველოს რუკა, რომელზე სურათი მაჰმადიან ქართველებისა და იმ ქართველ ისტორიკოსთ მიღწეულობა, რომლებიც ოდესმე თავიანთ ნაწარმოებში შეხებიან სამაჰმადიანო საქართველოს.

სახალხო სახლი. სამშაბათს, 30 ივნისს, სახალხო სახლში გაიმართება უკანასკნელი წარმოდგენა, რადგანაც თეატრი მთელი ზაფხულში იყეტება. ამ დღეს ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა კოტე მესხისა „თამარ ბატონიშვილი“. უმთავრეს როლებს შეასრულებენ ვალგუჩია, მ. ქილაჯიშვილი, ვ. გამყრელიძე, ალ. იმედაშვილი და სხვ.

დღეს 28 ივნისს, სახალხო სახლში მსახიობნი ბ. გომელაური და ალ. შან-შაიშვილი მართავენ დიდ სალიტერატურო საშუნიკო და იუმორისტულ სასალამოს ც. ამირაჯიბის, ვ. აბაშიძის, გედევანიშის, ალ. იმედაშვილის, ევ. სარაჯიშვილის და სხ. მონაწილეობით. წარმოდგენილი იქნება აგრეთვე სცენა შარვი ვ. გუნიასის სათა მუყეთ ფახაფუხი: ვილქვლი, ფრანც-იოსები და მახმუდ მ-ე.

ჭანეთ-სამ-კლარჯათის გედი

ქართველი ერის მომავალი მის სულიერ და ქინებრივ ძალოვნება დამოკიდებულია და ამ ძალოვნეს ხომ თავისი ბუნებრივი ფუძეც აქვს—რიცხვი. მრავალრიცხოვანი რომ ვიყოთ, ჩვენი ეროვნული პიროვნებაც უფრო მძაფრი იქნებოდა... გახსოვთ, რას ამბობს მატრიანე ძველ ქართველებზე (თარგამოსის ჟამს): „და ვერლარა იტედა ქვეყანა არარატისა (მათ), რამეთუ ესნეს ცოლ მრავალ ძენი და ასულნი მისთანიო“...

ამიტომაც წამოვიდნენ ჩრდილოეთით ჩვენი წინაპრები; ძლიერნი ვიყავით დავით—თამარის დროსაც; პირველ ყოვლისა რიცხვით. „რიცხვი“—კანონია. იგი ჰქმნის თვისებას—ძალას—ნებას და როცა მონგოლ და ოსმალი წარიდეს ჩვენი რიცხვის ნახევარი მაინც, ძალაც გამოცხდის და თან ნებაც. დავკნინდით, ერთა შორის გამოვსხლტით... ნუგეში—(ნუ გეშინია!) მხოლოდ ის არის, რომ უარესს გადავუჩინოთ—დედამიწის ზურგიდან აღმოვებრას.

აწუყო ომი—განკითხვა ეროვნებათა ძალოვნისა...

„ძალა არს ქეშმარიტება, ქეშმარიტება არს ძალა...“ აკაკის სიტყვები ღიფურ სიბრძნეა... გარნა სიტყვა საქმეს ითხოვს. ძალას შეკრება სჭირია—„ეროვნული მობილხაიცა“. ვსაჭიროებთ მობილხაიცას არა მარტო სულიერ—ქონებრივს, არამედ ბუნებრივსაც. ის სახელოვანი მესამედი საქართველოსი, სამცხე-საათაბაგო—მესხეთი, რომელიც უკვე სამი საუკუნეა ჩვენი ეროვნული პიროვნების გარეშე იმყოფება, უნდა კვლავ გაქართველდეს სულით. მაჰმადიან ქართველთა ეროვნული აღდგომა—**რენაციონალიზაცია**—ამიერიდან ისეთივე არსებითი კითხვაა ჩვენი საზოგადოებრივი მოქმედებისა, როგორც ერის ქონებრივი და უფლებრივი განმტკიცება.

აქარა, ჯავახეთი, ერუშეთი, არტანუჯი—ერთ სახელმწიფოებრივ საზღვრებში არიან ჩვენთან ერთად. ქანეთი და ტაო-კლარჯეთი კი განშორებულნი არიან, ოსმალეთში. თუ ახლანდელი ომი ანგარიშის გასწორება ეროვნულ ხლართებისა, უნდა ვიმედოვნებდეთ, რომ ქანეთ-კლარჯეთიც ერთ პოლიტიკურ საზღვრებში მოხვდება მთელ საქართველოსთან ერთად და კვლავ ვიხილავთ წინაპართა აღიქმის ასრულებას.

ახლანდელი ოსმალეთის საქართველო შესდგება ქანეთ-ტრაპიზონიდან და ტაო-კლარჯეთიდან. ოსმალეთის გამგებობის ერთ ისინი იწოდებიან სხვა ნაირად. ვახუშტის დროის ქანეთი—ლაზისტანის სანჯაყია (სამოურავო) და ქალაქ ტრაპიზონთან ერთად შეადგენს ტრაპიზონის ვილაეთს (საერისთავოს). ტაო-კლარჯეთი კი აზრუმის ვილაიეთის ჩრდილო ნაწილია. მას უდრის მთელი ბაიბურდის სანჯაყი და აზრუმის—ორი კახა—თორთუმის და კიკეში.

მთელი ეს მხარე საქართველოს უცოლო სამკვიდრებელია, როგორც ისტორიული, ისე ეტნოგრაფიული საბუთებით. აი რას გვეუბნება თანამედროვე ოსმალეთის აღწერა ქანეთ-კლარჯეთზე: ქანეთ-ტრაპიზონის ვილაეთში სულ ითვლებოდა 430,041 მამაკაცი. მათ შორის მაჰმადიანები—344,374. (უნდა დავუმატო, რომ ოსმალეთის ცნობა არ არჩევს ეროვნებას მაჰმადიანებში და აერთებს გურჯ-ლაზ-ქართველთა და თურქებს. სომხები ყოფილა 18,041 და ბერძნები—67,626.). რომ ტრაპიზონის ვილაეთი ქართველ მოსლიმანებისა, ამას ამტკიცებს პირველ ყოვლისა მისი ადგილების დასახელება. ამ ვილაეთს შეადგენენ სანჯაყები: ლაზისტანი, ქანიკი, ტრაპიზონი და გუმიშ-ხანი. აი მათი ქალაქ-სოფელი: ხალა, ხოვა, ვიწე, გონთა, გორდი, ხატი, იმერა, სუმელა, გორიანი, ომბელა, ფატისა, ლარი... თვით ტრაპიზონში 45 ათასი მცხოვრებლებიდან ორი მესამედი ლაზებია *). ძველი ტაო-კლარჯეთიც ასეთ მდგომარეობაშია. კლარჯეთის თითქმის უდრის ბაიბურდის მთელი სანჯაყი (ქოროხის არემარე). აქ ითვლებოდა 108,380 მაჰმადიანი და 14,668 სომეხი. აი ამ სანჯაყის რამოდენიმე ადგილთა სახელწოდება: ისპირი, ხოფური, ქაბა, მადენი, კოლატი, მაკი, შაქრისტანი, კოჩი, ორთაქეი.

რაც შეეხება ძველ ტაოს, იგი დაახლოებით უდრის აზრუმის სანჯაყის კახას: კიკეშს და თორთუმს: აქ ითვლებოდა მოსლიმანი 67.851 და სომეხი 5.709. ადგილთა სახელწოდება ძველქართველთა: მელი, არჯვანი, ხევა, დამლეთი, ხამხეთი, გუდასხევი, ორჯოხი, კაპასი, ქალაიდი, ბარი, იშხანა, ოთხა და ბეგრი სხვა.

ქანეთ-ტრაპიზონის და ტაო-კლარჯეთის არემარე უფრო არის მორწყული ქართველ ტომთა წმიდა სისხლით... ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდის ეკავათ აქ მიწა-წყალი ქან-ლაზ-კლარჯეთა წინაპართ. ეს იყო ჩვენი ძველი „ზემო

ქართლი“, შემდეგ მესხეთი და სამცხე-საათაბაგო. სწორედ ქვეყნის ბარბაროსი შენსეგან, ვისივენი ქანებრთა-დასავლეთი განაპირა, მაგრამ სისხლი, ენა, წარსული, ქონებრივი და სულიერი ერთობა მუდამ აკავშირებდა მას დანახრჩენ საქართველოსთან.

პოლიტიკური ერთობაც გვექონდა. მოიგონეთ ძველი კოლხიდა-ლაზიკა, რომელშიაც შედიოდა ქანეთ—კლარჯეთი. მოიგონეთ კლარჯეთის ბაგრატიონთა სამეფო, საიდანაც „წამოვიდა“ ქართული ოქროს ხანი.

განსაკუთრებით მკიდროდ შეკავშირდა ქანეთ—კლარჯეთი სრულიად საქართველოსთან სწორედ ოქროს ხანაში. მე ვამბობ იმ დიად სახელმწიფო გეგმაზე, რომელიც სრულქმნა თამარმა ტრაპიზონის იმპერიის დაარსებით. ჩვენი წარსულის მკვლევართ ჯერ კიდევ არ დაუდვით ფასი ამ დიადი წამისთვის. ეს ვახლდათ საქართველოს იმპერიის გაბედული ჩარევა მცირე აზიის საერთა-დასახელმწიფოთა შორის საქმეებში. თამარს რასაკვირველია ახელმძღვანელებდა არა მარტო მემბრანის მიერ თხრობილი ამბავი ბერების ვაცარცვისა საბერძნეთში. მას აზრად ჰქონდა ბიზანტიის მაშინდელ მფლობელთა ანგარების განდევნა ტახტ-ტიფიდან და გამეფება თავის ნათესავ კონსტანტინოპოლში. ამით მოისპობოდა მტრული განწყობილება ბიზანტიასა და საქართველოს შუა და ორივე შეკავშირებულ სახელმწიფოს ძალა წინ აღუდგებოდა შუა აზიიდან მოსულ სელჯუკების ურდოებს. ეს იყო უაღრესი იდეა თამარის საგარეო პოლიტიკისა, ამბობს ბიზანტიის ცნობილი მკვლევარი ერნესტ ჟუნიკი. სამწუხაროდ კონსტანტინე ვერ გაამართლეს თამარის იმედი, ვერ ჩაივდეს ხელში კონსტანტინოპოლი; გარნა ქართველი ლაშქრით მათ დაიკავეს მთელი ტრაპიზონის არემარე და დაარსეს 1204 წელს ტრაპიზონის იმპერია. თამარის სიკვდილის შემდეგ მათ სულ მიანდეს ფიქრი კონსტანტინოპოლის ტახტზე. მონგოლების შემოსევამ საქართველოში მოაკლო ტრაპიზონის იმპერიას ქართველთა მიერ ფართო სამხედრო შემწეობა. მაგრამ იმ სუსტი ქართველი ძალებითაც, რომელიც კონსტანტინე შერია, მათ შესძლეს თავის დაცვა სელჯუკ—ოსმალებისაგან 1461 წლამდის (კონსტანტინოპოლი დაპყრობილი იქნა ოსმალებისაგან 1453 წელს). მთელი ორნახევარი საუკუნე გასძლიო თამარის შექმნილი იმპერია მთელი სიმძიმე მისი დაცვისა გარეშე მტრებისგან აწვა ბუქტეშ ქართველ-ლაზ-ქანებს. ინგლისელი ისტორიკოსი Finlay ამბობს მათზე, რომ ისინი იყვნენ უმამაციესი მეომარი მთელ აზიაში (the bravest warriors in all Asia). დროთა ბრუნვამ დაამხო ბიზანტიასთან და ტრაპიზონთან ერთად საქართველოს თავისუფლება. ქანეთი, ტაო-კლარჯეთი, აქარა, შავშეთი, ერუშეთი მოსჭრეს ჩვენ ეროვნულ აგებულებას. ჯერ სახელმწიფო კავშირი მოისპო მათ და საქართველოს შუა. მერმე სარწმუნოებრივი. ღამის ენაც ამოავადეს იქ, ის ენა, რომელზედაც ვამობდა შოთა, ქალაგობდა გრიგოლ ხანძოელი და სჯულს სდებდა აღბულა.

1878 წელს თითქმის მთელი ოსმალეთის საქართველო შემოვიერთდა ერთ სახელმწიფო საზღვრებში. თითქოს ეს უნდა ყოფილიყო ტეხილი აქარა—შავშეთის ცხოვრებაში, თითქმის უნდა ამდგარიყო ძველი საქართველოს მთელი სახე. მოვიგონოთ ის ღვთიური სიტყვა, რომელიც წარმოსთქვა მაშინ აკაკიმ აპარელთა წარმომადგენლების ჩამოსვლისას თბილისში, დიმიტრი ყიფიანის მიერ გამოართულ ნაღიშზე. — დღეს, — ამბობდა სახელოვანი მეოსანი, — ჩვენ შეგვიძლიან მივიდეთ ჩვენის წინაპრების საფლავებთან და ჩავსძახოთ, რომ მათი ანდერძი ჯერ კიდევ არ გავიფუჭებია. ეს ანდერძი იყო: დედა-ქეა და ერობა... დღემდე თუ ცალ-ცალკე შეგვიჩაბავს ის ანდერძი, დღეს უფრო ადვილად და ძლიერად ავასრულებთ, თუ ძმურად მივცემთ ერთმანეთს ხელს, დავადგებით ერთ გზას და მივმართავთ ერთ მიზანს... შუად ვიყოთ, რომ ბედს, საიდანაც უნდა მოდიოდეს, კარი გავუღოთ, — და უბედობას ვეწინააღმდეგეთო!!

*) იხ. შუშინსკის წერილი „Исторія сборник“—ში 1912.

ვი რომ აკაკის სიტყვები გერმანობით არ ქვეყნულ საქმედ. მთელი ნახევარი საუკუნე დაგვიტოვა „ტარიელთაში“, ვილას გვემინოდა, ვილას ვემდუროდით, და ჩვენი ძმები სხვა და სხვა მოხელეთა სურვილებს ანაბარა იყო მიტოვებული. ახლა კი თითზე ვიკვებით... ღმერთმა ქმნას, რომ ესეც გვიან არ იყოს.

ომმა ხელახლა წამოგვიყენა თვალწინ ბედი გამაჰმადიანებულ ქართველთა. ერთის მხრით უნდა დაბოლოვდეს საქართველოს მიწა-წყალის გაერთიანება ერთ სახელმწიფოებრივ სახელმწიფოში... ქანეთ-ტრაპიზონი და ტაო-კლარჯეთი უნდა შეუერთდეს დანარჩენ საქართველოს. მეორეს მხრით, უნდა აღსდგეს ქართული კულტურა და ეროვნება გამაჰმადიანებულ საქართველოში. უნდა დაგვიბრუნდეს ის მესამედი ერის ბუნებრივი ქონებრივი და გონებით ძალღონისა, რომელიც უკვე სამი საუკუნეა იკარგება საქართველოსათვის.

თუ მშვიდობიან მცონარეობამ ვერ შექმნა ის ხუროთ-მოძღვარი, რომელსაც—ალ. ფრონის თქმით—უნდა გაედო შემეგრებელი ხილი“ ჩვენ და მაჰმადიან ქართველთა შუა, იქნებ ომისგან აფეთქებულმა ცხოვრებამ დაჰბადოს იგი ჩვენდა დასახსნელად.

მანამდის კი გვახსოვდეს ყველას, ვინც მანამდის იღებს ერის პოლიტიკურ და კულტურულ კითხვათა გარკვევაში, რომ საქართველოს მიწა-წყალის გაერთიანება (ქანეთ-კლარჯეთი-ტრაპიზონი) და მთელი მაჰმადიან ქართველობის კულტურული აღდგომა—არა ნაკლები არსებითი კითხვაა დღევანდელ საქართველოს ცხოვრებაში, ვიდრე უთუოდ ჩვენი და სოციალური ცხოვრების მოწყობისა.

გ. ვეშაპელი.

კოლონეთის აგება

თათბირი პოლონეთის საქმეთა შესახებ მოწყობილ იქნა მთავრობის მიერ რუსთა და პოლონელ საზოგადო მოღვაწეთა მონაწილეობით. დაესწრნენ სათათბიროს და სახელმწიფო საბჭოს დეპუტატები.

კრება მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გორენიკინმა გახსნა, რომელმაც მორიგი საკითხი გააცნო და კრების თავმჯდომარეობა გარდასცა სახელმწიფო მდივანს კრიანოვსკის. ზოგიერთის შეხედულებათა მეტად განსხვავებულად იმ შეხედულებებისაგან, რაც შემუშავებულა პოლონეთის პოლიტიკურ წრეებში უმაღლეს მთავარსარდლის მოწოდების მიხედვით. ნამინისტრალ მაკლაკოვის და კრიანოვსკის მიერ შემუშავებული პროექტი, რომელიც კრებამ განიხილა, ამბობს რომ პოლონეთსა და რუსეთის სახელმწიფოს ექნებათ საერთო კანონმდებლობა და სამოსამართლო დაწესებულება, ჯარი და ფლოტი, ფოსტა და ტელეგრაფი, ფინანსი და რკინის გზების მართებლობა.

პოლონეთის სახელმწიფოში ინიშნება მეფის მოადგილე და მასთან განსაკუთრებული საბჭო, რომლის წევრთა ნაწილი იმ პირთაგან ინიშნება, რომელნიც პოლონეთს განაგებენ. მეორე წევრთა ნაწილი ამორჩეულ იქნება ერობისა და ქალაქის თვითმართებლობის მიერ.

ადგილობრივ მოხელეთა თანამდებობა ეძლევა პოლონელებს, ხოლო იმ პირთ, რომელნიც ინიშნებიან სხვა ადმინისტრაციულ თანამდებობაზე, უნდა პოლონურ ენის აუცილებელი ცოდნა მოეთხოვოს.

უნდა შემოღებულ იქნეს სათემო დაწესებულებანი, იმის მსგავსად, როგორც იმპერიის სხვა კუთხეებში იქნება, ხოლო იგი დაწესებულება შესწორებულ იქნეს ადგილობრივ პირობების მიხედვით.

შემოღებულ უნდა იქნეს აგრეთვე ნაფიც მსახულთა სასამართლო და ამორჩეული მომრიგებელი მოსამართლე.

რაც შეეხება უმაღლეს მთავარსარდლის მოწოდებას, სადაც ალუთქავს ენისა და სარწმუნოების თავისუფლებას, პოლონეთის ხალხს უფლება უნდა ჰქონდეს ყოველ ადმინისტრაციულსა და სამოსამართლო დაწესებულებაში იმპერიის ხალხსა და სარწმუნოებასთან დაწესებულებაში უნდა დარჩეს ისევე სახელმწიფო რუსულ ენაზე.

ნება ეძლევა პოლონელ ხალხს დედაენაზე იკამათოს და ილაპარაკოს ადგი-

ლობრივ სათემოსა და ქალაქის დაწესებულებაში.

სამოქალაქო სამსახურის უფლება და შეღავათი საომარ ბერის მოსახდელად იმ პირთ ეძლევა, რომელთაც პოლონელთა სკოლა დაასრულეს და შემდეგ დადგინდნ პოლონეთის მიხედვით მთავრობის კომისიამ გამოცადა. ნება ეძლევა პოლონეთს ყველა სასწავლებლებში სწავლა სამშობლო ენაზედ სწარმოებდეს: მაღალსა, დაბალსა თუ საშუალოში, იმ პირობათ კი, რომ რუსული ენა, რუსეთის ისტორია, სიტყვიერების თეორია, გეოგრაფია და რუსეთის უფლება რუსულ ენაზე ისწავლებოდეს.

რაც შეეხება სარწმუნოების თავისუფლებას, პოლონეთის სამეფოში ნება ეძლევა რომაულ-კათოლიკობის სარწმუნოებას გაათავოვოს თავისი კატეხიზაცია, ესე იგი სამედიცინოებს ნება ეძლევა ახალგაზრდობის სარწმუნოება მართო ეკლესიაში კი არ ჩაეგონონ და იქადაგონ, არამედ ეკლესიის გარედაც. სამედიცინოებს უფლება ეძლევა კათოლიკეთა სემინარიებსა და საეკლესიო ქონებას განაგებდნენ.

ოთხშაბათს, დილის 6 საათზე, მაშინ როდესაც ხალხს ჯერ კიდევ ეჩინა, ყირადოვის მალა გერმანელთა ჰაერობლანი გამოჩნდა და 5 ყუმბარა ჩამოაგდო. დაინგრა სახლები და რამოდენიმე იმსვერაბლა.

მალკინში ჰაერობლანიდან გერმანელებმა ყუმბარები ჩამოყარეს, 8 დაიჭრა. ასეთივე ამბავი განმეორდა ქ. გროიკაში.

ლოდის პოლიცია აუწყებს მცხოვრებლებს, რომ მოკლე ხანში წარმოადგინონ სია ოჯახის წევრებისა, რათა ამით დანადგელებით გაიგონ თუ რამდენი ფქვილი და პური მიაწოდონ. გერმანელები ავალებენ რომ ყველას კვიტანცია (ტალონი) ჰქონდეს, რომ ნება ჰქონდეს დღეში თვითო სულმა ნახევარი გირვანქა პური იყიდოს. ვინც პურს ან ფქვილს უკვიტანციოდ მიჰყიდის, დიჯარიმება 5000 მანეთით, ან ექვსი თვით ციხე მიესჯება.

ჩვენი სსოვრება

ატენის ხეობა

(ქართლი). ატენის ხეობაში უკანასკნელმა ნიაღვრებმა მილიონ მანეთამდე ზარალი მიაყენა მცხოვრებთ. სოფლის გზები აღარ არსებობს; ზეზემანის რკინის გზის ლიანდაგი ალაგ-ალაგ მდინარის არხად გამხდარა. მიმოსვლა გაჭირდა: გორიდან თუ ვანიანთ უბანში წასვლა გინდათ, 5—6 ვერსი უნდა შემოიაროთ წვილის მხრე. კობტა და მშვენიერი ვენახები ზოგან მიღეჭილია და ზოგან ქვა-ბრეშით სავსე. ზოგ ვენახზე არხი გაუკეთებია მდინარეს. კარგა მოზრდილი ნაწილი ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ვენახისა სულ ერთიან გაუფლავებია მდინარეს. სოფლის პატარა მდინარე ტანა თუ ასე აზვირთდებოდა და ასე დაპოულებავდა ხალხს, ვერავის წარმოედგინა.

ბობნევის ხეობაშიაც აესთივე ზარალი მოხდა.

მგზავრი.

გ ა შ ო.

სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა ხუთ კაცს, რომელთაც ბალახანა-საბუნჩის პოლიციისტერის პანინის მოკვლა ბრალდებოდათ.

დაჯილდოება

კავკასიის მთავარსარდლის განკარგულებით 7 ივნისიდან 1915 წლის ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამარჯვებისთვის დაჯილდოვებულთა:

მესამე ხარისხის სიხლის ჯვრით:
თურქესტანის მსროლელთა პოლკის ფერშალი ნიკოლოზ ჯავახიშვილი და კურინსკის პოლკის ფერშალი ვსილი წულეისკი.

მესამე ხარისხის სტანისლავით:
გაუბიკთა რაზმის ბეთთალი ავთანდილ კვიციანი.

საეტაპო-საბეითლო ლაზარეთის ბეთთის თანაშემწე სვიმონ ახმეტელაშვილი, კოზლიარი-გრებენსკი პოლკის უფროსი ექიმი ფლადიმერ კლდიაშვილი. სამხედრო-სასინიტრო ტრანსპორტის უფროსი ექიმი პავლე კერეხელიძე და უფროს ბეთთის თანამდებობის აღმასრულებელი კავკასიის მსროლელთა არტილერიის ბრიგადის ვენედიკტ ლეჟავა.

ბ. გერასიმე იმანიშვილის წარდგინება

გაზ. „საქართველო“-ს № 23-ში ბ. გერ. იმანიშვილმა მოათავსა წერილი, რომლითაც ბრალს სდებს ქ. შ. წ. კ. ბ. საზოგადოების საგამომცემლო სექციას. იმანიშვილი ჰკიცხავს სექციას იმისთვის, რომ ბ. ზაქარია ჰიჭინაძეს არ დაეხმარა ფულით ქართველ მაჰმადიანთა შესახებ წიგნის გამოცემის საქმეში.

როცა კაცი ასეთ ბრალდებას უყენებს მთელ კოლეგას, ვალდებულია სისწორით იცნობდეს საქმის გარემოებას. ბ. იმანიშვილი კი წინასწარ არ გასცნობია სექციის დადგენილებას და სხვის ნაამბობის მიხედვით შეუთხზავს თავისი მკაცრი ბრალდება. იმანიშვილი ამბობს, რომ სექციამ ჰიჭინაძეს ენა დაუწუნა და უარი იმით უთხრა დახმარებაზე. ეს მართალი არ ვახლავთ, აი თვით სექციის დადგენილება: „ზ. ჰიჭინაძეს ეცნობო, რომ მისი წიგნის შესწორებულად გამოცემა სასურველი არ არის და ამასთანავე ეთხოვოს, რომ შესწორების თავისი ნაშრომი თანახმად ჰიჭინაძე აბაშიძის წინადადებას (გაზ. „სამშობლო“, № 77) და შესწორებული ისე წარმოადგინოს“.

მოწინავე ქართველი მაჰმადიანი ჰაიდარ-ბეგ აბაშიძე კი მოითხოვს ჰიჭინაძის ნაშრომის არსებითად შესწორებას.

ამნიარად, სექციის ზემოთ ამოწერილი დადგენილება, როგორც ხედავთ, უარს არ შეიცავს პირიქით, შეიცავს შესწორებულ წიგნის სექციის ხარჯით დაბეჭდვის სურვილს.

სექციას აუცილებელ საქიროებად მიაჩნია, რომ ქართველ მაჰმადიანთა შესახებ წერა და წიგნების გამოცემა, განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში, დიდი სიფრთხილით ხდებოდეს. ამიტომაც ჰიჭინაძის მიერ წარმოდგენილი რეგული სექციამ გასასინჯად გასცა ერთ ცნობილსა და ისტორიის სექციას. ლუარდ მცოდნე პირს, რომელმაც სექციას წერილობით აცნობა: ჰიჭინაძის წიგნის გამოცემა შეუწოვრებლად არა თუ სასურველი არაა, პირიქით, მავნებელიც იქნება.

ყოველივე ზემო თქმულიდან ცხადია, თუ როგორ უსაფუძვლოდ ჰკიცხავს სექციას ბ. გერასიმე იმანიშვილი.

საგამომცემლო სექციის თავმჯდომარე. თ. კიკვაძე.

რედაქტორ-გამომცემელი

სანადრო შანშიაშვილი

მაჰანდა თბილისის ბაზარზე

გაიყიდა:	20	თიბათვეს
კიტრი 100 ც.		3 მ. 50კ.
ტყემალი		2 მ.
ატამი		3 მ.
ვაშლი		2 მ. 50კ.

კიტრი 100 ც.	3 მ.
ტყემალი	2 მ. 20კ.
მსხალი	2 მ.
ატამი	3 მ.
ნიორი	1—40
ლობიო	1—40
ვაშლი	2 მ. 50კ.

22 თიბათვეს

კიტრი	3 მ.
ატამი	3 მ.
ვაშლი	2 მ. 50კ.
ლობიო	1 მ. 40კ.
კარტოფილი	1 მ. 50კ.

2" თიბათვეს

კიტრი	3—50
ლობიო	1—80
ატამი	3 მ.
ლეღვი	4 მ.

24 თიბათვეს

კიტრი	3 მ. 50კ.
მსხალი	3 მ.
ლობიო	1 მ. 80კ.
თხილი	2 მ.
ატამი	3 მ.
ვაშლი	2 მ. 60კ.

ვოლოგინის პრ. და სამხედრო ქუჩის

კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი ავთიიკი
პროვიზორის ახვადიანისა.

25—24

ქანეთის რკინის გზის მიმოსვლა

(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)

თბილისიდან ვადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარაკვობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

თბილისიდან ვადის:

თბილისიდან	8 ს. 13 წ. დილ.
ნავთლულ-ამიერ-კავ.	8 " 40 " "
ნავთლულ-კახეთ.	8 " 58 " "
ვაზიანიდან	10 " 06 " "
ივრიდან	21 " 15 " "
საგარეჯოდან	11 " 58 " "
ბაღდათრიდან	12 " 58 " "
მელაანიდან	2 ს. 16 წ. საღ.
გურჯაანიდან	3 " 37 " "
კარდნახიდან	4 " 12 " "
წიორის-წყალზე	4 " 44 " "

გურჯაანიდან-თელავამდე № 7.

გურჯაანიდან	3 ს. 42 წ. საღ.
ვანაძიანიდან	4 " 33 " "
თელავში	5 " 27 " "

თბილისისკენ მოდის:

წიორის-წყლიდან	8 ს. 58 წ. დილ.
კარდნახიდან	9 " 41 " "
გურჯაანიდან	10 " 24 " "
მელაანიდან	11 " 39 " "
ბაღდათრიდან	12 " 59 " დღ.

საგარეჯოდან	2 " 80 " "
ივრიდან	4 " 50 " "
ნავთლულ-კახეთ	4 " 58 " "
ნავთლულ-ამიერ-კავ.	5 " 13 " "
თბილისში	5 " 28 " "

თელავიდან-გურჯაანამდე № 8.

თელავიდან	8 ს. 54 წ. დილ.
ვანაძიანიდან	9 " 25 " "
გურჯაანში	10 " 07 " "

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3 ბაქოდან	12 ს. 54 წ. დღ.
№ 4 ბათობიდან	5 ს. 55 წ. საღ.
№ 5 ბაქოდან (სწრაფი)	7 ს. 41 წ. საღ.
№ 10 ბათობიდან	9 ს. 51 წ. დილ.
ჯულფიდან	6 ს. 53 წ. დილ.
ბორჯომიდან	7 ს. 25 წ. დილ.

თბილისიდან ვადის:

№ 3 ბათობისკენ	1 ს. 45 წ. დღ.
№ 4 ბაქოსკენ	7 ს. 3 წ. საღ.
№ 6 ბაქოს (სწრაფი)	12 ს. 8 წ. დღ.
№ 9 ბათობისკენ	8 ს. 53 წ. საღ.
ჯულფისკენ	10 ს. 23 წ. საღ.
ბორჯომისკენ	3 ს. 29 წ. დღ.

გ თ ხ ო ვ თ პ ი რ ა დ ა დ დ ა რ რ მ შ ე დ ე თ

შუშუნა „ჩვენი გემო“ კვასი

„ჩვენი გემო“-ს ქარხანა გადავიდა ქერქეზოვის ქუჩაზე № 38. კვასი მზადდება პირველ ხარისხის მასალისაგან და ნაღული წყლით. სისუფთავე ქარხანაში საუცხოვოდ დაცულია. ამზადებს დიდი ხნის დაკვირვებული და პრაქტიკის მქონე მოხელე.

გემო და სუნი სახამაოვნო აქვს.

ვისაც სურს დალიოს ნამდვილი პურის კვასი, მოითხოვოს ყოველგან „ჩვენი გემო“ და არ აურიონ ის სხვა თირმებში. კვასი „ჩვენი გემო“ ქიმიურ ლაბორატორიისაგან განსჯული და მოწონებულია.

გ თ ხ ო ვ თ პ ი რ ა დ ა დ დ ა რ რ მ შ ე დ ე თ

საკომისიო კანგორა

თბილისი, ვერის დაღმართი, № 1. ტელეფ. 17-05

გამისტარებია თავისუფალ ბინისა; გადავრბა და სწავლა საწერ მაშინაზე. მიცემა ცნობისა ყოველგვარ დაწესებულებიდან; შუამავლობა უძრავ ქონების ყიდვა-გაყიდვისა, დავიარებისა და იჯარით ვასცემად; გკისრულობთ ყოველგვარ მონ საკომისიო საქმეს ქალაქელთა და ქალაქ გარეშელთაგან. დოკილთაბას სწრაფად და პირნათლად ვასრულებთ. (8—8)

წიგნის მაღაზია

„ახალი სიტყვა“ („НОВАЯ РЪЧЬ“).

თბილისი. გოლოგინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნი; გკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნის, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქგარეუიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში. (წ.—17)

მეხილეთა ამხანაგობა

„მ ა რ თ ლ ი“

„ქართლის“ კოოპერატიულ მაღაზიაში (ძველი სემინარიის შენობა) ყოველდღე ჩამოდის ახალი ხილი ამხანაგობის წევრებისაგან. მსურველთ შეუძლიან შეიძინონ ყოველნაირი ხილი იაფად.

თეზისის გეოგრაფი

გ. გ. გეოგრაფი

ბუშქინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაზარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილკოვის-შვითი“, სამრეწველობიდან ახალი ქვირითის ხიზილადა, მცირე მარლიანი, შავი „მეშოჩნი“ ხიზილადა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხა, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფიგებისა ხანგრძლივ ინახება.

საპოლიტიკო და სალიტერატურა გაზეთი

„ს ა მ შ ო ბ ლ ო“

(გამოდის ქუთაისში)

ყოველ კვირული სურათებიანი დამატებით

გ ა ვ თ ი დ ი რ ს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარი წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებითი—7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“. ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. ცინცაძე.